ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 10 მარტი, 2022 №49 (8827) ფასი: 60 თეთრი

საქართველოს საწყობებში ფქვილისა და შაქრის მარაგი ამოიწურა

გვ.2

ირაკლი ოქრუაშვილი მებრძოლთა ჯგუფით კიევის მისადგომებთან იბრძვის

გვ.3

„უკრაინამ დაამტკიცა, რომ ყოველგვარი დიდი დახმარების გარეშე გააჩერა ოკუპანტი, მითი რუსული არმიის უძლეველობის შესახებ აქ დაინგრა... ვერ წარმოიდგენთ, რა ტიპის ბრძოლა მიდის, სასწაულს ჩადიან უკრაინელი არტილერისტები და მფრინავები“

გურამ ჩალაგაშვილი: „ჩვენ უკრაინისთვისაც ვიბრძვით და საქართველოსთვისაც“

გვ.4

„ხელისუფლებას ვურჩევ, ცოტა ენას კბილი დააჭიროს“

ვახტანგ ძაბირაძე: „ოპოზიცია ზუსტად ისე იქცევა, როგორც პანდემიის დროს იქცეოდა“

„ამ ბრძოლაში რუსეთი განწირულია“

სერგი კაპანაძე: „ჩვენი უსაფრთხოების ბედი, ჩვენი სუვერენიტეტის ბედიც კი ნამდვილად წყდება უკრაინის ომში“

გვ.2

„დასავლეთი მზადაა, პუტინის შესაკავებლად მთელი ეკონომიკური სიმძლავრე გამოიყენოს“

გვ.4

22 თებერვლიდან კრემლის წინააღმდეგ 2.778 სანქციაა ამოქმედებული

„ამ ხელისუფლებასთან ბრძოლა რთული არ არის“

გვ.3

დავით კირკიტაძე: „უკრაინის მიმართ ხელისუფლების პოზიცია სამარცხვინოა“

ISSN 1987-9385

5 ვახტანგ გომელაური: „ესებუას როდესაც დავიჭერთ, აუცილებლად მოგახსენებთ“

2 ნათია მეზვრიშვილი: „მოსახლეობაში პანიკის მთავარი მიზეზები ხელისუფლებაში უნდა ვეძებოთ“

5 გიგი უგულავა აეროპორტის ინციდენტში სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო

6 რამზან კადიროვი: „იაპონიის ხელმძღვანელობა ჩეჩნეთის მინაზე ფეხს ვერ დადგამს“

„ამ ბრძოლაში რუსეთი განწირულია“

სერგი კაპანაძე: „ჩვენი უსაფრთხოების ბედი, ჩვენი სუვერენიტეტის ბედიც კი ნამდვილად წყდება უკრაინის ომში“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს სერგი კაპანაძე პასუხობს.

– ბატონო სერგი, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? სულ გვესმის შეფასებები, რომ ჩვენი ხელისუფლება აცდენილია რეალობას, აბსურდულ განცხადებებს აკეთებს. თქვენ რას იტყვით?

– ეს არის ამ ძალიან მარტივ მორალურ დილემაში არასწორი მხარის არჩევა. ასეთი მარტივი არ ყოფილა არასდროს ამის დანახვა. შავსა და თეთრს, კეთილსა და ბოროტს შორის ბრძოლა მიმდინარეობს და ჩვენ კიდევ რატომღაც ავარჩიეთ ის გზა, რომ დავეხმაროთ რუსეთს. ამის ლოგიკა მე არ მესმის, ან ეს ყველაფერი როგორ შედის ჩვენს ეროვნულ ინტერესებში, არ ვიცი. ამიტომ, მგონია, რომ ხელისუფლების ეს პოზიცია არის ქვეყნის დამაზიანებელი, ჩვენი დასავლელი პარტნიორებისა და უკრაინის წინააღმდეგ ასე ღიად წასვლა.

– რუსეთმა მტრულად განწყობილი ქვეყნების სია გამოაქვეყნა, სადაც საქართველო არ მოხვდა. ეს სახიფათო ხომ არ არის ჩვენთვის? ხომ შეიძლება, დასავლეთმა ჩვენც დაგვიწესოს სანქციები, როგორც რუსეთის მეგობარ ქვეყანას?

– თუ ხელისუფლება შეეცდება, რომ რუსეთს გამოსაძრომი მისცეს და სანქციებისთვის გვერდის ავლაში დაეხმაროს, მაშინ, ვფიქრობ, სანქციებს ჩვენც დაგვადებენ, რადგან, არა მგონია, ეს ვინმემ გვაპატიოს. ამათ ხელში არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. ისე იქცევიან, ისე ლაპარაკობენ და ისეთ გადაწყვეტილებებს იღებენ, რომ შესაძლოა საგრძნობლად დააზიანონ ქვეყნის ინტერესი. თუ ეს არის ამოცანა და მიზანი ამ განცხადებების, რასაც პრემიერ-მინისტრი აკეთებს, სოფლის მეურნეობის მინისტრი და რა განცხადებებიც პარლამენტში კეთდება, რომ ჩვენ რუსეთს დავეხმაროთ გამოძრომაში და ამაზე ხელიც მოვითბოთ, უნდა ველოდეთ ძალიან ცუდ სცენარს, როგორც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის, ისე ქვეყნის განვითარების მხრივაც.

– რა გადაწყვეტილებას ელოდებით ევროკომისიის მხრიდან, მაშინ, როცა არ შესრულდა არც ერთი მათი რეკომენდაცია, დაირღვა შარლ მიშელის დოკუმენტი? როგორი იქნება მათი დამოკიდებულება ჩვენდამი?

– ჩვენ პირველ რიგში რომ მივიღოთ

კანდიდატის სტატუსი და შემდეგ – წევრობა, ამისთვის ძალიან ბევრი რამე გვაქვს გასაკეთებელი ქვეყნის შიგნით, მათ შორის, ძალიან ბევრი რეფორმაა გასატარებელი. გუშინ არასამთავრობო ორგანიზაციებმა განცხადებაც გავავრცელეთ მაგასთან დაკავშირებით, რომ ჩვენი საშინაო დავალება არის ძალიან დიდი.

– არის ჩვენი ხელისუფლება ამ დავალების შემსრულებელი?

– არა, მე არ მგონია, რომ შემსრულებელია, უბრალოდ, მათ შორის ამ განაცხადის შეტანა აძლევს საშუალებას ევროკავშირსაც და საქართველოს საზოგადოებასაც, რომ ხელისუფლებაზე წნეხი გაზარდოს და გააკეთებინონ ის, რისი გაკეთებაც მათ არ უნდათ. ამ ყველაფერთან დაკავშირებით საზოგადოებამ წნეხი უფრო მეტად უნდა გაზარდოს. ძალიან ბევრი სამუშაოა და ევროკავშირში შეტანილი განაცხადი კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევს ქართველ საზოგადოებას. ამიტომ მე მაგას ვუყურებ, როგორც შესაძლებლობას, რომ კიდევ მეტი რეფორმა გამოვითრიოთ, რომელიც, ვიცით, რომ არ უნდა ხელისუფლებას, მაგრამ მოუწევს გაკეთება. რადგან განცხადება შეიტანა, უკვე მოუწევს მათი წესებით თამაში.

– ხელისუფლებას არ უნდა დაინახოს, რომ უკრაინაში მიმდინარე ომით ჩვენი ქვეყნის ბედით წყდებ, თუ ვერ იაზრებს ამას? შიში აკეთებინებს ამ განცხადებებს თუ ეს არის მკაცრი მითითება ბიძინა ივანიშვილის მხრიდან?

– ისეთი კითხვაა, რომ ამაზე ყველას აქვს თავისი პასუხი. ყველა სხვადასხვაგვარად ფიქრობს. მე, მაგალითად, მგონია, რომ ეს არის ივანიშვილის გადაწყვეტილება, იმიტომ, რომ არ მჯერა, ირაკლი ღარიბაშვილი ასეთ მნიშვნელოვან საკითხებზე დამოუკიდებლად იღებდეს გადაწყვეტილებას, ხოლო ივანიშვილი ამას იმიტომ აკეთებს, რომ პუტინისგან დავალებას იღებს, რუსეთს გულშემატკივრობს თუ თვითონ ასე სჯერა. ამას არც აქვს ახლა მნიშვნელობა, რადგან საქმე, რომელიც გამოდის, ჯამში არის აშკარად არა საქართველოს ინტერესების შესაბამისი.

– თავად რამდენად ფიქრობთ, რომ ჩვენი ბედი დღეს უკრაინაში წყდება და მათი მარცხი ან გამარჯვება ჩვენზეც ისევე აისახება, როგორც მათზე?

– უდავოდ ასეა! ჩვენი უსაფრთხოების ბედი, ჩვენი ევროინტეგრაციის ბედი და ჩვენი სუვერენიტეტის ბედი, გარკვეულწილად, ნამდვილად წყდება უკრაინაში მიმდინარე ომში. ამიტომ ჩვენს ეროვნულ ინტერესებშია, რუსეთი დამარცხდეს და, თუ რამით შეგვიძლია, ამას ხელი შევუწყოთ, ეს უნდა გავაკეთოთ. ეს არის ჩვენი ეროვნული ინტერესი. ამის გაცნობიერება არის მნიშვნელოვანი იმისთვის, რომ ამ ბრძოლაში, რომელიც უჩვენოდ მიმდინარეობს, მაგრამ ჩვენც გვეხება, გვქონდეს ჩვენი როლი. არა ისეთი როლი, როგორსაც გვთავაზობს ხელისუფლება, რომ ხელი მოვითბოთ, მაგალითად, სანქციებზე და ასე შემდეგ.

– ამ ყველაფრის ფონზე გამოდის პრემიერი და აცხადებს, 18%-იანი ზრდა გვაქვსო. ეს რის და ვის ხარჯზე?

– ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 18%-იანი ზრდა არანაირად არ გამოდის. ასე როცა ადარებ იანვარს იანვართან, მაშინ, როცა წინა წელს გქონდა სერიოზული ვარდნა, ეს არ გაძლევს რეალურ სურათს.

– უნდა გავითვალისწინოთ, რა ვითარებაში ვიყავით გასული წლის იანვარში, პანდემია მძვინვარებდა და გაჩერებული იყო ყველაფერი.

– მეც ზუსტად მაგას ვამბობ, თანაც, ეს მონაცემები შეაჯერეს უკრაინის ამბების დაწყებამდე. საუბარი იმაზე, რომ ეს ყველაფერი გვინდა გამოვიყენოთ ჩვენი ინტერესებისთვის, ძალიან დამაზიანებელია ჩვენთვის. ეს ჩვენს ევროინტერესებს დააზიანებს, ჩვენს უკრაინასთან ურთიერთობებს დააზიანებს და ჩვენს ევროინტეგრაციის კურსს დააზიანებს.

– ბატონო სერგი, ბოლო პერიოდში სალომე ზურაბიშვილის მისამართით დადებითი შეფასებები იმის. საუბრობენ იმის შესახებ, რომ ის განუდგა ხელისუფლებას და სწორი პოზიცია უჭირავს, რომ მისი განცხადებები გაცილებით ადეკვატურია, ვიდრე დანარჩენი ხელისუფლების. რას იტყვით თქვენ?

– ამ შემთხვევაში სულ არ არის საინტერესო, განუდგა თუ არ განუდგა. ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით, მიმაჩნია, რომ მისი განცხადებები იყო კარგი, სწორი და ეროვნული ინტერესების შესაბამისი, სწორედ ისეთი, როგორიც უნდა იყოს პრეზიდენტის განცხადება. რაც შეეხება სხვა თემებს, ამასთან დაკავშირებით კითხვები ისევ მაქვს და ეს კითხვები არ მომიხსნია დღის წესრიგიდან. ამიტომ, ისეც არ არის, რომ მისი ერთი განცხადების გამო, სხვა რაც ცუდი გაუკეთებია ან არაფერი, ამას ხაზი გადაესვას. ასე არ არის, მაგრამ ის, რაც თქვა, ნამდვილად მისასალმებელია და ეს არის ევროკავშირში განაცხადის შეტანის კონტექსტში გაკეთებული განცხადებები.

– ბატონო სერგი, უკვე 14 დღეა, რაც უკრაინაში საომარი მოქმედებები მიმდინარეობს. ძალიან რთულია პროგნოზი, რთულია იმის თქმა, რით დასრულდება ეს ყველაფერი, მაგრამ, რა მოლოდინი გაქვთ, როგორ შეიძლება, განვითარდეს მოვლენები?

– ძალიან რთულია, გამოიცნო სცენარი, როგორ განვითარდება მოვლენები. რასაც ვკითხულობთ, რასაც ვხედავთ ყოველდღე, გვაძლევს იმედის საფუძველს, რომ ამ ბრძოლაში რუსეთი დამარცხდება, რასაც ჰქვია დამარცხდება და არა ის, რომ გამარჯვებას ვერ მოიპოვებს. აჩვენა ამ ბრძოლამ ის, რომ თუნდაც ქალაქის დაბომბვა არ ნიშნავს იმას, რომ უკრაინა ამ ომში მარცხდება. ამ ბრძოლაში რუსეთი განწირულია. მე არ მესმის, ამ ყველაფრიდან როგორ შეიძლება რუსეთი გამოვიდეს გამარჯვებული. უბრალოდ, ახლა მნიშვნელოვანი ის არის, რომ ეს ყველაფერი ისე დასრულდეს, რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლი იყოს, ამ ახალი ჰიტლერის სიგიჟემ კიდევ უფრო მეტი ადამიანის სიცოცხლე არ შეიწიროს.

– თქვენ ფიქრობთ, რომ უკრაინა დაასრულებს პუტინის იმპერიას?

– ის, რაც ახლა პუტინმა წამოიწყო, აუცილებლად მოუტანს დასასრულს მის იმპერიას.

საქართველოს საწყობებში ფქვილისა და შაქრის მარაგი ამოიწურა

უკრაინაში დაწყებული ომის პარალელურად, საქართველოში პროდუქტებზე მოთხოვნა გაიზარდა. მოქალაქეები ცდილობენ, პირველადი მოხმარების პროდუქტები მოიმარაგონ.

საქართველოში პროდუქტების ნაწილი – შაქარი, ზეთი, ფქვილი, მარილი და სხვა პროდუქტები უკრაინიდან და რუსეთიდან შემოდის, რის გამოც მოსალოდნელია, პროდუქტების დეფიციტი შეიქმნას.

– ყველა მაღაზიაში შევედი თითქმის, არსად არ არის შაქარი. ყველაფერს შეეტყო, – ამბობს ერთ-ერთი მოქალაქე.

ქსელურ სუპერმარკეტებში ამბობენ, რომ განსაკუთრებით გაზრდილია მოთხოვნა შაქარზე.

საწყობებში ფქვილისა და შაქრის მარაგი ამოიწურა.

ნათია მეზვრიშვილი: „მოსახლეობაში პანიკის მთავარი მიზეზები ხელისუფლებაში უნდა ვეძებოთ“

– ხელისუფლებამ ნება უნდა იბოძოს და უზრუნველყოს საზოგადოებისა და მთელი პოლიტიკური სპექტრის გაერთიანება ევროინტეგრაციის ინტერესების ირგვლივ – „ქართული ოცნება“ ამაზე გამოგვყვება კი არა, ოღონდ წავიდნენ და ჩვენ გავყვებით.

ამის შესახებ პარტია „საქართველოსთვის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ნათია მეზვრიშვილმა ტელეკომპანია „პალიტრანიუსის“ გადაცემა „დღის ნიუსრუმში“ განაცხადა.

როგორც მეზვრიშვილმა აღნიშნა, ხელისუფლებამ გამაერთიანებლის ფუნქცია უნდა იტვირთოს და ევროინტეგრაციის საკითხთან დაკავშირებით სპეციალური სახელმწიფო სტრუქტურა შექმნას.

– ეს ადამიანები იმდენად დაბრმავებულები არიან „ნაციონალური მოძრაობის“ ზიზღით, მზად არიან, ოპონენტის ზიზღს ქვეყნის ინტერესები გადააყოლონ. მზად არიან, ეს გააკეთონ დღესაც, როდესაც ომია და არავინ იცის, რა რისკების წინაშე დადგება ქვეყანა. ვეუბნებით ამ ადამიანებს – ნება იბოძეთ, დაგვიძახეთ, შექმენით მნიშვნელოვანი პლატფორმა (ეს გიორგი გახარიამ ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც პრემიერ-მინისტრი იყო), ერთიანი პლატფორმა ევროინტეგრაციის საკითხებით, ერთი ქოლგის ქვეშ, სპეციალური სახელმწიფო სტრუქტურა, სადაც ეს ყველაფერი თავს მოიყრის და კონსოლიდაცია მოხდება საზოგადოების საექსპერტო წრეების, არასამთავრობო სექტორის, ყველა იმ ადამიანის, ვისაც ამ ყველაფერში წვლილის შეტანა შეუძლია. გამაერთიანებლის ფუნქცია ხელისუფლებამ უნდა იტვირთოს. მზად ვართ, ამ ყველაფერში მონაწილეობა მივიღოთ, – განაცხადა ნათია მეზვრიშვილმა.

გარდა ამისა, ნათია მეზვრიშვილმა ისაუბრა მოქალაქეების მხრიდან პროდუქტების დიდი რაოდენობით მომარაგებასა და საზოგადოებაში პანიკის გაჩენაზე. მეზვრიშვილი ამ პროცესს ხელისუფლების მხრიდან უპასუხოდ დარჩენილ კითხვებს უკავშირებს.

– პანიკის მთავარი მიზეზები ჩვენს ხელისუფლებაში უნდა ვეძებოთ. ჩვენ არაერთხელ მოვუწოდეთ ხელისუფლებას, მთავრობას, პრემიერს, გამოსულიყვნენ პასუხისმგებელი პირები და მოსახლეობისთვის აეხსნათ, რეალურად რა ხდება ქვეყანაში – რა ხდება უსაფრთხოების კუთხით, რა ხდება ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით, გაიზარდა მიგრაცია და რა მდგომარეობა გვაქვს, თუმცა ხელისუფლებისგან ვიხილეთ ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებები.

როგორ უნდა დაუჯერონ ხელისუფლებას, რომელიც ერთ დღეს გამოდის და გვეუბნება, რომ არანაირი საფრთხე ქვეყნის წინაშე არ არის, ხოლო მეორე დღეს გამოდიან და გვიანონსებენ რუსული აგრესიის საფრთხეებს. შინაგან საქმეთა მინისტრი გვეუბნება, ორი აზრი არ არსებობს, რომ უკრაინაში ომი რუსეთმა დაიწყო. პრემიერ-მინისტრი კი ამ საკითხს ეჭვქვეშ აყენებს. ეს ყველაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ ეს ადამიანები ან არაკომპეტენტურები არიან ან მართვის უნარი არ აქვთ. ვერ აქვთ გაცნობიერებული, ამ დროსა და რეალობაში რა ნაბიჯები უნდა გადადგან. დაკარგულები არიან დროსა და სივრცეში.

გჯერათ იმ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, რომელიც გამოდის და ერთი წინადადებით ამბობს, რომ ყველაფერი რიგზეა, მაშინ, როდესაც უსაფრთხოების სამსახურიდან ფარული ჩანაწერები ყოველდღიურად ჟონავს? ბუნებრივია, მოქალაქეები აღარ ენდობიან და ხალხი პანიკაშია, – განაცხადა ნათია მეზვრიშვილმა.

ამასთან, მისი თქმით, 9 მარტს მამუკა მდინარაძის ბრიფინგის თემა ნაციონალური მოძრაობა კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ „ნორმალური ხელისუფალი უნდა გამოსულიყო და ესაუბრა, რა გეგმა აქვს ფასების გაზრდასთან ან პროდუქტებთან დაკავშირებით შექმნილ პანიკაზე“.

რაც შეეხება საქართველოში რუსეთის მოქალაქეების შემოსვლასა და შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებას, ნათია მეზვრიშვილი ამბობს, რომ როდესაც ხელისუფლება განცხადებას აყოვნებს ან თავის დროზე გამოდის, მაგრამ სისულელეებს ამბობს, ინტერპრეტაციებისთვის სივრცე რჩება.

– სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს – გამოვიდნენ და რაღაც თქვეს. ამას ახლა კი არ უნდა აკეთებდნენ, როგორც კი თემა აქტუალური გახდა, პასუხისმგებლობის მქონე ხელისუფლება უნდა გამოსულიყო და სრულყოფილი განცხადება გაეკეთებინა. ერთი კვირის დაგვიანებით რომ გამოდის ბატონი მდინარაძე და მაღალფარდოვანი სიტყვებით რომ ცდილობს გადააბრალოს ყველას და ყველაფერს, გარდა ხელისუფლებისა, საზოგადოებაში პანიკის გამო დამნაშავე უპირველესად საკუთარ თავში უნდა ეძებონ.

როდესაც ხელისუფლება აყოვნებს ან თავის დროზე გამოდის, მაგრამ სისულელეებს ლაპარაკობს, ეს ინტერპრეტაციებისთვის სივრცეს ტოვებს, – განაცხადა ნათია მეზვრიშვილმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ირაკლი ოქრუაშვილი მებრძოლთა ჯგუფით კიევის მისადგომებთან იბრძვის

გურამ ჩალაგაშვილი: „ჩვენ უკრაინისთვისაც ვიბრძვით და საქართველოსთვისაც“

თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი რუსეთ-უკრაინის ომში თავდაპირველად 8 მებრძოლ მეგობართან ერთად მოხალისედ ჩაერთო. ჯერ თურქეთში, შემდეგ პოლონეთის გავლით თანამებრძოლებთან ერთად უკრაინაში ჩავიდა და უკრაინული არმიის გარკვეულ დანაყოფს შეუერთდა.

ამჟამად იგი 26-კაციან მებრძოლთა ჯგუფ „სოხუმში“ რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს სახელით იბრძვის. 24 ქართველთან ერთად მის ბატალიონში 1 აზერბაიჯანელი და 1 ლიეტუველი მებრძოლიც იბრძვის.

ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით, დღეს საქართველოს ბედი უკრაინაში წყდება და დუმილი და უმოქმედობა დანაშაულია, პირველ რიგში, საკუთარი შვილების წინაშე.

– საქართველოდან წამოსვლა ძალიან ბევრს უნდოდა, მაგრამ პასუხისმგებლობას ვერ ავიღებდი, ლოჯისტიკურადაც ძალიან რთულია. შევიკრიბეთ გარკვეული საბრძოლო გამოცდილების ხალხი. ამჟამად გვყავს სნაიპერიც, არტილერისტიც, მენაღმეც.

თავდაცვის ექსმინისტრის ჩატარებული საიდუმლო ოპერაციის შესახებ წერს უკრაინული მედიაც – უკრაინულ არმიას რუსი ჯარისკაცების მიტოვებული მძიმე ტექნიკაც ჩააბარა.

– უკრაინამ დაამტკიცა, რომ ყოველგვარი დიდი დახმარების გარეშე გააჩერა ოკუპანტი, რომელზეც არსებობდა მითები, რომ ის არის უძლეველი არმიის მქონე სახელმწიფო. მითი რუსული არმიის უძლეველობის შესახებ აქ დაინგრა. ძალიან ბევრ კადრს არ ვიღებთ ან ვერ ვიღებთ, თუ რა დანაკარგები აქვს რუსულ მხარეს აქ.

საკუთარი თვალით რომ ნახავ ადამიანი, მიხვდები, რამხელა კატასტროფა განიცადა რუსეთმა აქ. იმ ბრძოლაში, რომელიც 2 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, ტექნიკის დანაკარგები, ბუნებრივია, არის. მაგალითად, ერთმა ჩვენმა ჩვეულებრივმა ადამიანმა, მებრძოლმა, ორი საბრძოლო მანქანა გაუნადგურა სნაიპერული შაშხანით ისე, რომ ვერც კი გაიაზრეს, საიდან ესროლეს.

ვერ წარმოიდგენთ, რა ტიპის ბრძოლა მიდის, როდესაც გესვრიან 152 მილიმეტრიან ჭურვებს. სასწაულს ჩადიან უკრაინელი არტილერისტები და მფრინავები. ბრძოლა მიდის დრონებით, ავტომატი აქ იარაღად არ ითვლება საერთოდ, – ამბობს ოქრუაშვილი.

თავდაცვის ექსმინისტრის ჯგუფმა არაერთ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა. იგი კიევის შემოგარენს იცავს.

– ომია, ბუნებრივია, კარგი ვითარება არ არის. 1 მეტრით არ წამოუწევია რუსეთს იმ მონაკვეთზე, სადაც ჩვენ გვიწევდა ყოფნა. მძიმე ბრძოლები მიდის... 3-დღიანი ბრძოლის შედეგად 1 სოფლის ერთ უბანზე გვაქვს ბრძოლა და იმასაც ვერ იგებენ.

უკრაინელი ერი არის არნახული სოლიდარობისა და არნახული სულისკვეთების. ზოგადად ჩვენ, ქართველებმა, უნდა გავაცნობიეროთ ერთი რამ – ეს არ არის მხოლოდ უკრაინის ომი, ამ ომში უკრაინელები არ იბრძვიან მხოლოდ უკრაინისთვის, უკრაინელები იბრძვიან ასევე საქართველოსთვის, – ამბობს ირაკლი ოქრუაშვილი „მთავართან“ საუბარში.

მისთან ერთად იბრძვის მისი თანაპარტიელი გურამ ჩალაგაშვილიც, რომელიც კატეგორიულად აცხადებს, რომ რუსეთი ამ ომს ვერ მოიგებს.

„ბოლო ორი ღამე კოშმარი გამოვიარეთ, გადავრჩით. ინტენსიურ სროლებში მოვყევით, არტილერია და ჰაერი მუშაობდა აქტიურად, ასეულობით ჭურვი გამოუშვეს ჩვენი მიმართულებით, ეცადნენ, რომ ალყაში მოვექციეთ, კომუნიკაციაც დაგვიხშეს, მოკლედ, მძიმე ვითარება იყო...

საბოლოოდ, იმ კონკრეტულ ლოკაციაზე ოკუპანტებმა დაკარგეს ორი თუ სამი მძიმე ტექნიკა, ასევე – 70 ადამიანი, ჩვენ მხარეს კი მხოლოდ ორი დაიჭრა მსუბუქად... ერთ-ერთის ახლოს ჭურვი აფეთქდა და სანგარში დროულად ჩაწოლა ვერ მოასწრო, ტვინის შერყევა მიიღო.

სამწუხაროდ, ერთ-ერთ ბლოკპოსტზე სამი უკრაინელი მოგვიკლეს. იქ ჩვენც ვიყავით მანამდე, შემდეგ გადავინაცვლეთ უფრო ცხელ წერტილში. ამ დილით ჩაცხრილულები დაგვხვდნენ სანგრებში, ჩუმად მიჰპარვიან, როგორც ჩანს, – გვითხრა გურამ ჩალაგაშვილმა.

მისი თქმით, მათ გვერდით უკრაინელი გამოცდილი მეომარიცაა.

– ის გვეუბნება, სად უნდა წავიდეთ. გვითხრა, რომ გზაში გვეტყვიან, სად მივდივართ. ამას უკრაინელები წყვეტენ, რა და როგორ, – ამბობს გურამ ჩალაგაშვილი.

როგორც ჩალაგაშვილი აცხადებს, უკრაინის ომი ჩვენი ომიცაა.

– ყველა 100 მეტრში ბლოკპოსტია მოწყობილი, ქალებიც დგანან ავტომატებით ხელში, ყველა უკრაინელი ომობს. სჭირდებათ უფრო მეტი იარაღი, თანამედროვე ტექნოლოგიები, ოპერატორები, ჯაველინები. რუსეთი კიევის სიახლოვესაც ვერ მოვა. მითი უძლეველ რუსეთზე დასრულდა მთლიანად.

ფაქტია, რომ ეს საქართველოს ბრძოლაცაა. ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ თუ უკრაინა ომს წააგებს, ჩვენ 15 წუთში გადაგვყლაპავს რუსეთი. არც დასჭირდებათ გადაყლაპვა, ისეთი ხელისუფლება გვყავს.

– ომი ალბათ მალე დამთავრდება – ერთ თვეში ან თვე-ნახევარში.

აქედან რომ დავბრუნდები, არ ვაპირებ სახლში ჯდომას და ყურებას, როდის შეჭამენ ღარიბაშვილი, კობახიძე და ივანიშვილი ბოლომდე ჩვენს ქვეყანას.

ომი დასრულდება უკრაინელების გამარჯვებით და ჩვენი გამარჯვებით. მაგრამ, არ ვიტყვი, რომ მხოლოდ უკრაინისთვის ვიბრძვი, ჩემი შვილებისა და ჩემი ქვეყნისთვის ვიბრძვი. მჯერა, რომ, უფლის წყალობით, ყველანი მშვიდობით დავბრუნდებით საქართველოში და ჩვენს სათქმელს აქ ვიტყვით.

ჩვენს სამარცხვინო ხელისუფლებას მოუწევთ პასუხი მათი სამარცხვინო გამონათქვამების გამო, იმიტომ, რომ ძალიან ცუდად ჟღერს, როცა გესმის, კი, თქვენ ხართ მაგარი ადამიანები, ხალხი ხართ ძალიან კარგი, მაგრამ ხელისუფლებამ რა ქნაო? ამ კითხვას სვამს ყველა. ეს სირცხვილი უნდა ჩამოვირეცხოთ როგორმე და, შესაბამისად, არ უნდა გავჩერდეთ და არ ვაპირებ მე გაჩერებას, – განაცხადა გურამ ჩალაგაშვილმა.

ექსთავდაცვის მინისტრის ჯგუფის შესახებ სოციალურ ქსელში წერენ უკრაინასა და საქართველოშიც.

სოციალურ ქსელში უკრაინის რადის დეპუტატი ალექსეი გონჩარენკო ირაკლი ოქრუაშვილის ჯგუფის ფოტოს აქვეყნებს და წერს, რომ ეამაყება, საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი უკრაინისთვის რომ იბრძვის.

– თქვენ შეიძლება მოგწონდეთ ოქრუაშვილი, არ მოგწონდეთ, პატიობდეთ წარსულში შეცდომებს ან არ პატიობდეთ, მაგრამ უკრაინელები რომ ამეებს თავიანთ ჩენელზე დებენ, იმ ფონზე, რასაც ღარიბა ლაპარაკობს, ძალიან მნიშვნელოვანია, რა ვქნა.

რომელი ქვეყნის ყოფილი თავდაცვის მინისტრია კიდევ იქ? – არც ერთის და ჩვენი სანგრებში ზის, მართლა ზის, დებს ვიდეოებსა და ფოტოებს, რომ არავისზე ნაკლებად არ იბომბება.

ჰოდა, მნიშვნელოვანია... – წერს უჩა აბაშიძე სოციალურ ქსელში.

პ.ს. სხვათა შორის, ემიგრაციაში მყოფი ირაკლი ოქრუაშვილი ითხოვდა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომში რიგით ჯარისკაცად ჩაერთვებოდა. ამის შესახებ თავად პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, მაგრამ რატომღაც მას იმ დროს ჩამოსვლის უფლება არ მისცეს.

„ამ ხელისუფლებასთან ბრძოლა რთული არ არის“

დავით კირკიტაძე: „უკრაინის მიმართ ხელისუფლების პოზიცია სამარცხვინოა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს დავით კირკიტაძე პასუხობს.

– ბატონო დავით, როგორც ცნობილია, საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კვლავ შიმშილობს. როგორია ამჟამად მისი მდგომარეობა? ამბობენ, რომ სუსტად არის. მის სამკურნალოდ გადაყვანას ითხოვთ, მაგრამ ხელისუფლება კატეგორიული წინააღმდეგია. რა ინფორმაცია აქვთ, ახლა როგორია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა?

– დღეს მასთან შესული იყო ეკა ხერხეულიძე და მისგან გვაქვს ინფორმაცია, ასევე – იმ ექიმებისგან, რომლებიც ბოლოს იყვნენ შესული და ჰქონდათ საშუალება, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეემოწმებინათ და მეტ-ნაკლებად ობიექტური დასკვნა გაეკეთებინათ. სურათი კი ასეთია: მიხეილ სააკაშვილი ნამდვილად საჭიროებს გადაყვანას ნორმალურ სამედიცინო კლინიკაში, სადაც ნორმალურად უმკურნალებენ, არ მოახდენენ მასზე ზეწოლას და კიდევ უფრო არ გაუუარესებენ ისედაც მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობას. აი, ასეთი ვითარებაა დღეს.

– ითქვა ისიც, რომ კოვიდი გადაიტანა ორჯერ. ასეა?

– დიახ, ერთხელ გადაიტანა კოვიდი, ახლა ჰქონდა ტემპერატურის ცვალებადობა, მაგრამ კოვიდი არ დაუდასტურდა. პირველმა კოვიდმა თავისი კვალი დატოვა, ამის შემდეგ ერთი შიმშილობა და ახლა კიდევ მეორე შიმშილობა, ბუნებრივია, მის ჯანმრთელობაზე ახდენს ძალიან მავნე ზეგავლენას.

– ხელისუფლებასთან თუ გქონდათ კომუნიკაცია ამ საკითხებთან დაკავშირებით ან კლინიკაში გადაყვანის თაობაზე, რა პასუხი მიიღეთ მათგან?

– არავითარი შეთავაზება, გარდა იმისა, რაც ისედაც ეკუთვნის მიხეილ სააკაშვილს და ყველა ადამიანს – ეს არის ადეკვატური ჯანმრთელობის მიღების უფლება, რასაც მოკლებულია მიხეილ სააკაშვილი. ჩვენ სწორედ ამას ვითხოვთ ამდენი ხანია და ხელისუფლებისგან ვხვდებით პოზიციას, პოლიტიკური პროცესებით დაბრმავებული ადამიანების პოზიციას, რომლებიც არად დაგიდევენ არც ადამიანის უფლებებს, არც მის ჯანმრთელობასა და არაფერს საერთოდ.

– ამჟამად შიმშილობს სააკაშვილი? რა ინფორმაცია გაქვთ?

– დიახ, მიხეილ სააკაშვილი აგრძელებს შიმშილობას და არის საკმაოდ სუსტად.

– რას აპირებთ, რთულია ხელისუფლებასთან ბრძოლა?

– ხელისუფლებასთან ბრძოლა რთული არ არის, უბრალოდ, ამ მომენტში ეს არის მართლაც რომ სიმართლის მხარეს დგომა და ჩვენი ქვეყნის გადარჩენისთვის მნიშვნელოვანი საქმე. ამიტომ, ოპოზიცია კი არ უნდა იბრძოდეს, არამედ აბსოლუტურად ყველა ადამიანი, ამ ქვეყანაში მცხოვრები, რომელიც განიცდის ამ უსამართლობას, რომელსაც აღარ უნდა იმ ყოფაში ცხოვრება, რომელშიც ხელისუფლება აცხოვრებს, მაშინ უნდა გამოვიდეს და შეცვალოს ხელისუფლება მაქსიმალურად მშვიდობიანად.

– გაქვთ ამის მოლოდინი? ან ვადამდელი არჩევნები თუ დაინიშნება? ჩვენ ვნახეთ, ბოლო დღეებში როგორი ხალხმრავალი აქციები გაიმართა.

– ეს საზოგადოების გადასაწყვეტია. საზოგადოება როცა იქნება მზად ცვლილებისათვის, სწორედ მაშინ მოხდება ეს ცვლილებები.

– თუნდაც უკრაინასთან მიმართებით აბსოლუტურად განსხვავებულია ხელისუფლებისა და საზოგადოების პოზიცია. რით ხსნით ხელისუფლების დღევანდელ პოზიციას?

– ხელისუფლების პოზიცია უკრაინასთან მიმართებით არის სამარცხვინო, ეროვნული ინტერესების, ჩვენი სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგო და ამას ადეკვატურ შეფასებას მისცემს როგორც ხალხი ქვეყნის შიგნით, ასევე ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები, რომელთა ძალისხმევითა და ყოველდღიური შრომით ჩვენი სახელმწიფო და ეკონომიკა დღეს კიდევ დგას ფეხზე.

– სამარცხვინოა ხელისუფლების პოზიციაო, ამბობთ. როგორ ფიქრობთ, ეს ირაკლი ღარიბაშვილისა და მისი გუნდის პოზიციაა თუ მხოლოდ ივანიშვილის და ამას აჟღერებს „ქართული ოცნება“?

– ღარიბაშვილი და მისი გუნდი – ასეთი რამ არ არსებობს! ღარიბაშვილი ჩვეულებრივად არის ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ ერთი რიგითი წარმომადგენელი. ღარიბაშვილი არც არაფერს წყვეტს და არც არაფერი შეიცვლება მისი შეცვლით, თუ ასეთი რამ მოხდა. უნდა შეიცვალოს მთლიანად სისტემა და მმართველი პოლიტიკური ძალა, რომელიც ემსახურება მთლიანად ბიძინა ივანიშვილისა და, შესაბამისად, რუსეთის ინტერესებს.

– საკმაოდ მრავალრიცხოვანი აქციები გაიმართა რუსთაველზე. მესმის, რომ ეს უკრაინის მხარდასაჭერი აქციები იყო, მაგრამ, რამდენად გაქვთ განცდა, რომ საზოგადოება გამოფხიზლდა და ცვლილებები უნდა?

– მე წინააღმდეგი ვარ მსგავსი ტიპის შეფასებების, რომ საზოგადოება გამოფხიზლდა ან საზოგადოება არ აქტიურობს. მე ჩემს აზრს გეტყვით მხოლოდ: საზოგადოება როცა იქნება მზად რეალური ცვლილებებისათვის, ცვლილებები აუცილებლად მოხდება.

– დღეს არ არის ამისთვის მზად თუ რატომ გაუსვით ხაზი, როცა მზად იქნებაო?

– ჩვენ ამას ყველანი ვიგრძნობთ, მივხვდებით, როდის დადგება ამის დრო და, მერწმუნეთ, ეს იქნება ძალიან მალე.

– უკრაინის ომთან დაკავშირებით ხელისუფლება თავის პოზიციას ამართლებს იმით, რომ შესაძლოა შემდეგი ჩვენ ვიყოთო და საკუთარი გადმოსახედიდან ამიტომ არ აღიზიანებენ რუსეთს. რამდენად სწორი პოზიციაა ეს?

– ამას ხელისუფლება აფასებს ასე. ეს არის კაპიტულანტური პოზიცია. არავითარი შემდეგი აღარ უნდა იყოს. ბოროტება უნდა დამარცხდეს, დამარცხდეს უკრაინაში და შემდეგი აღარ უნდა იყოს არავინ. ამ შემთხვევაში რა შუაშია საქართველო? რატომ განიხილავენ მას ცალკე აღებულს? ეს არასწორია. ერთ მთლიანობაში უნდა განვიხილოთ ეს საკითხი. რუსეთი დღეს მთელი სამყაროს წინააღმდეგ იბრძვის, ყველას მტერია. უკრაინა იბრძვის და ცდილობს მის შეჩერებას, რომ აღარსად არ განმეორდეს ის ბოროტება, რომელიც დღეს მათთან ხდება.

„ხელისუფლებას ვურჩევ, ცოტა ენას კბილი დააჭიროს“

ვახტანგ ძაბირაძე: „ოპოზიცია ზუსტად ისე იქცევა, როგორც პანდემიის დროს იქცეოდა“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

„რუსეთიდან ხალხის დიდი მასის შემოსვლისას შეიძლება გაჩნდეს პროდუქტებზე დეფიციტი, ამან კი ბაზარზე შიში და პანიკა გამოიწვიოს“

– ბატონო ვახტანგ, შინაგან საქმეთა მინისტრმა პარლამენტს საზღვარზე არსებული სიტუაცია გააცნო. როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს პოლიტიკა რუსეთიდან შემოსულ მოქალაქეებთან დაკავშირებით?

– სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რამდენად რეალურია რუსული სპეცსამსახურების მასობრივად შემოდინების საფრთხე ამ კონკრეტულ შემთხვევაში. ამას იმიტომ ვამბობ, რომ რუსეთთან საქართველოს ცალმხრივად 2008 წლის ომის შემდეგ საზღვარი ღია აქვს. ამიტომ აგენტურაც და მეხუთე კოლონაც უკვე შემოსულია. სპეცსამსახურები ასე რომ არ მუშაობენ, ეს ახალი ამბავი არ უნდა იყოს, თან, როგორც ვიცი, 2019 წელს ბევრად უფრო დიდი რაოდენობით შემოვიდნენ.

– სრულიად განსხვავებული იყო მოცემულობა.

– დიახ, აბსოლუტურად გეთანხმებით. მე აქ სულ სხვა ტიპის საფრთხეებს ვხედავ და ამის თქმა მინდა.

საფრთხეები და თან სერიოზული შეიძლება იყოს ეკონომიკური, სოციალური, თუნდაც პოლიტიკური მიმართულებით. ამიტომ გვჭირდება საზღვრების სათანადო დაცვაც და კონტროლიც.

– კონკრეტულად რა საფრთხეებს ხედავთ?

– სრულიად ელემენტარულია. შეიძლება გაჩნდეს პროდუქტებზე დეფიციტი და ამან ბაზარზე შიში და პანიკა გამოიწვიოს, რასაც ახლა ვხედავთ თუნდაც ლარის კურსთან მიმართებით. ეს ყველაფერი, რასაკვირველია, შიდაგანწყობებზე აისახება. თუ ადამიანი შევა მაღაზიაში და შაქარს ან პურს ვერ იყიდის, იქიდან კარგი განწყობით ნამდვილად არ გამოვა. ეს ხომ ძალიან მარტივი მისახვედრია. ეს ძალიან სახიფათო შეიძლება აღმოჩნდეს თუნდაც ხელისუფლებისთვის. ამაზეა საუბარი და არა მეხუთე კოლონაზე, რომელიც, დარწმუნებული ვარ, დიდი ხანია, საქართველოში არსებობს.

ამიტომ საჭიროა ხელისუფლების მხრიდან გარკვეული ზომების მიღება, რომ ბევრი ადამიანის შემოდინება არ მოხდეს.

– შეიძლება, ეს იყოს სავიზო რეჟიმის აღდგენა?

– ვერ გეტყვით ასე ცალსახად, მაგრამ, რაღაც ფილტრი რომ უნდა არსებობდეს, სრულიად გასაგებია. ვინ რაც არ უნდა დაარქვას ამ ომს, სამყარო დღეს მესამე მსოფლიო ომშია. გლობალურად ურთულესი მდგომარეობაა. შეუძლებელია, შენარჩუნებული იყოს ეკონომიკური სტაბილურობა. ამერიკის გადაწყვეტილება უკვე ცნობილია, ასევე – ევროკავშირის, რომელიც 70%-ით ამცირებს რუსულ ნავთობპროდუქტებზე დამოკიდებულებას. მთლიანად ხდება გლობალური ბაზრის გადალაგება, რაც, ცხადია, ყველაზე იქონიებს ზეგავლენას.

ამიტომ, ხელისუფლებას რომ უნდა ჰქონდეს ინფორმაცია ყველა მიმართულებით, აქ ორი აზრი არ არსებობს. საზღვარზე შეიძლება მოხდეს გარკვეული დეკლარაციის შევსება, ინფორმაციის მიღება, რომ იდენტიფიცირება მოხდეს, რა კატეგორიის ხალხი შემოდის, რატომ შემოდიან და რამდენი ხნით აპირებენ დარჩენას. ასევე უნდა გავარკვიოთ, რომელი ქალაქების მიმართულებით აპირებენ წასვლას – თბილისის, ბათუმის, ქუთაისისა თუ თელავის. ესეც გარკვეულ ინფორმაციას მოგვცემდა. ასი პროცენტით ყველაფრის კონტროლი ალბათ შეუძლებელია, რაზეც გომელაურმა გააკეთა განცხადება, მაგრამ გარკვეული დონის ინფორმაციას სახელმწიფო და შესაბამისი სტრუქტურები უნდა ფლობდნენ.

– შექმნილმა სიტუაციამ შიდაპოლიტიკურ პროცესებზე რაიმე სახის გავლენა შეიძლება იქონიოს?

– ეს ყველაფერი ხელისუფლებისადმი უნდობლობაში რომ გადაიზარდოს, თან – სერიოზულ უნდობლობაში, რამაც შეიძლება პროცესები რადიკალურად შეცვალოს, მაშინ ოპოზიციამ ძალიან გონივრული ნაბიჯები უნდა გადადგას, რასაც დღეს ვერ ვხედავ. ოპოზიცია ზუსტად ისე იქცევა, როგორც იქცეოდა პანდემიის დროს. ის ცდილობდა პანდემიის სათავისოდ გამოყენებას, მაგრამ ვერ შეძლო, რადგან შეცდომას შეცდომაზე უშვებდა.

არ შემიძლია, ხელისუფლებაზეც არ ვთქვა. განცხადებები, რომლებიც მთავრობის წევრების მხრიდან კეთდება უკრაინასთან მიმართებით, ასევე არის შეცდომა. ხელისუფლებაც შეცდომას შეცდომაზე უშვებს, როდესაც საჭირო არ არის, გააკეთოს განცხადება და მაინც აკეთებს. ფრთხილად რომ უნდა ვიყოთ, ამაზე ვინ ამბობს უარს, მაგრამ, როდესაც არ არის საჭირო განცხადება და ამას არავინ არ გთხოვს, მაშინ რატომ აკეთებენ?! ეს სრულიად გაუგებარია. ცოტა ენას კბილი დააჭირონ. ან რას ნიშნავს – ზელენსკი ახლა ომშია და მერე მოვთხოვთ პასუხს! რა საჭიროა ეს განცხადებები?! რატომ აკეთებენ ამას?! ნახონ ერთი, როგორია ზელენსკის განცხადებები ნატოს, ევროკავშირის ლიდერების მიმართ.

„დასავლეთი მზადაა, პუტინის შესაკავებლად მთელი ეკონომიკური სიმძლავრე გამოიყენოს“

22 თებერვლიდან კრემლის წინააღმდეგ 2.778 სანქციაა ამოქმედებული

მარიამ მჭედლიშვილი

აგრესორი რუსეთის წინააღმდეგ გადადგმულ მორიგ ძლიერ ნაბიჯად ითვლება აშშ-ის გადაწყვეტილება რუსული ნავთობისა და გაზის იმპორტის აკრძალვაზე. ამას აპირებენ სხვა სახელმწიფოები და ევროკავშირი. დიდი ბრიტანეთი მზადაა, წლის ბოლოსთვის შეწყვიტოს რუსეთიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შემოტანა.

რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების დასაძლევად დიდმა ბრიტანეთმა დაუშვა გაზის მოპოვების ფრაკინგის მეთოდი. ეს მეთოდი აკრძალული იყო ეკოლოგიური მოსაზრებებით. იმ დროს, როცა უკრაინაში სისხლი იღვრება, ამ მორატორიუმის მოხსნა მისაღებია. დიდ ბაზარზე რუსული გაზის წილი დაახლოებით 4%-მდეა. ლონდონი ჩართულია რუსული გაზისგან ევროპელი პარტნიორების დახსნის პროცესშიც. ბევრჯერ ითქვა, რომ ეს უახლოეს ხანში ვერ მოხდება.

თავისი ენერგომატარებლების დასავლეთში გატანის აკრძალვა, შესაძლოა, თავად კრემლმაც გადაწყვიტოს. პუტინმა დაავალა მთავრობას, შეადგინოს იმ პროდუქციისა და ნედლეულის ნუსხა, რომლის ექსპორტი წლის ბოლომდე აიკრძალება.

უკვე დადგენილია, რომ რუსეთი საზღვარგარეთ არ გაიტანს მთელ რიგ სურსათს, ბურღულეულსა და ფქვილს.

დასავლეთმა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების შემოღება 2014 წლიდან, ანუ რუსეთის მიერ ყირიმის დასაკუთრების დროიდან დაიწყო. ახლანდელი სანქციები ადრინდელზე ბევრად მკაცრი და ფართოა. 22 თებერვლიდან კრემლის წინააღმდეგ მოქმედებს 2778 ახალი სანქცია. ამას ემატება ახალი შეზღუდვები.

– სანქციებში გამოიკვეთა აშშ-ისა და მისი მოკავშირეების ერთიანობა უკრაინის კრიზისის წინაშე. ამ სანქციებმა აჩვენა, რომ დასავლეთი მზადაა, გამოიყენოს მთელი თავისი ეკონომიკური სიმძლავრე პუტინის შესაკავებლად, – აღნიშნავს „ბლუმბერგი“.

რუსეთი სანქციირებულ ქვეყნებში ლიდერობს. მას ჩამორჩებიან ირანი, სირია, ჩრდილოეთი კორეა, ვენესუელა, მიანმა და კუბა.

ყველა მეტი სანქცია – 568 – მოსკოვს გამოუცხადა შვეიცარიამ. ევროკავშირმა რუსეთს დაუწესა – 518, საფრანგეთმა კი 512 სანქცია.

როგორც ჩანს, ომმა უკრაინაში ეკონომიკურად დააზარალა ფაქტობრივად მთელი მსოფლიო. გერმანული „დი ველტი“ არ იზიარებს მოსაზრებას იმის შესახებ, თითქოს უკრაინის კრიზისი რამენაირად ხელს აძლევს

აშშ-ის პრეზიდენტს. გამოცემის სიტყვებით, ბაიდენის რეიტინგი და მისი პოზიციები საკუთარ ქვეყანაში დაბალია. ახლა ისეთი დროა, რომ მოსახლეობის ყურადღებას ვერ გადართავ საშინაო საკითხებიდან საგარეო პრობლემებზე. ამერიკელ ამომრჩევლებს აწუხებთ ბენზინის გაძვირება.

შეიძლება თუ არა ბაიდენზე დაყრდნობა? შეძლებს თუ არა იგი ევროპის დაცვას იმ დროს, როცა მას საკუთარი ამომრჩევლების განწყობები აფიქრებს? შეძლებს თუ არა ბაიდენი, იყოს დასავლური სამყაროს ლიდერი? – სვამს შეკითხვებს გამოცემა.

უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე მსოფლიოში სხვა ძვრები ხდება. ჩინეთი ტაივანის საკითხს ააქტიურებს. ქვეყნის საგარეო მინისტრი ვან ი აცხადებს, რომ ტაივანი ადრე თუ გვიან ჩინეთს მიუერთდება.

მისი თქმით, ტაივანი ჩინეთის განუყოფელი ნაწილია.

ჩინეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ ტაივანისა და უკრაინის პრობლემები ერთმანეთისაგან განსხვავდება. მისი თქმით, ტაივანი ჩინეთის საშინაო საქმეა, უკრაინისა კი ქვეყნებს შორის დავაა.

უკრაინისა და საქართველოს ნატოში მიღება ახლო მომავალში არ განიხილება. სამაგიეროდ, ნატოში შესვლაზე მზადყოფნას გამოთქვამს ფინეთი. როგორც ცნობილია, ფინეთის პარლამენტში შევიდა მოსახლეობის ხელმოწერები ნატოში გაწევრიანების მოთხოვნით. პარლამენტში განხილვის შემდეგ ფინეთს ნატოში სწრაფად მიიღებენ.

დასავლეთი აქტიურდება შავ ზღვაზე. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ვიქტორია ნულანდმა განაცხადა, რომ მხარს დაუჭერდა შავ ზღვაზე ნატოს როტაციულ ყოფნას.

– პირადად მე დიდი ხნის განმავლობაში ამის მომხრე ვიყავი. ნატოს, ისევე, როგორც აშშ-ს, აქ აქვს წვრთნის რეგულარული გრაფიკი.. ყირიმში შეჭრის შემდეგ მოსკოვმა დაიწყო ნახევარკუნძულზე სხვადასხვა მოწინავე შეიარაღების განლაგება. რუსეთს გაუჩნდა შესაძლებლობა, გადაკეტოს შავი ზღვის ზოგიერთი მონაკვეთი, – აღნიშნა ნულანდმა კონგრესში საკომიტეტო მოსმენაზე.

გიორგი კანდელაკი: „საქართველო არ უნდა იქცეს ხვრელად რუსეთის სანქციებისგან თავის ასარიდებლად“



– დღეს დასავლური სანქციებისა და პოლიტიკის ნაწილი საქართველოს დეოკუპაციის მოთხოვნა არ არის იმიტომ, რომ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, მათ შორის, ომის დაწყების შემდეგ, საქართველოს ხელისუფლება უკრაინის ბოიკოტით არის დაკავებული.

ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ წევრმა გიორგი კანდელაკმა განაცხადა.

მისივე თქმით, საქართველომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაუწიოს დახმარება რუსეთის ფედერაციას, მის კერძო თუ სახელმწიფო კომპანიებს და რუსეთის მოქალაქეებს, სანქციებისგან თავის არიდებაში.

– არავითარ შემთხვევაში საქართველო არ უნდა იქცეს ხვრელად და არ უნდა გაუწიოს დახმარება არც რუსეთის ფედერაციის სახელმწიფოს, არც მის კერძო თუ სახელმწიფო კომპანიებს, არც კერძო მოქალაქეებს სანქციებისგან თავის არიდებაში. დღესდღეობით როგორც ვხედავთ, სახეზე არის ის, რომ საქართველოს გამოყენებით, როგორც რუსეთის სახელმწიფო, ასევე, ცალკეული მოქალაქეები ცდილობენ სანქციებისთვის თავის არიდებას.

გასაგებია, რომ საქართველო დიდ ზიანს ვერ მიაყენებს რუსეთის ეკონომიკას სანქციებთან მიერთებით, მაგრამ მთავარი ამოცანა საერთაშორისო ასპარეზზე უნდა ყოფილიყო მთელი ამ წლების განმავლობაში, უკრაინასთან ერთად უმაღლეს აღმასრულებელ დონეზე ერთობლივი ფრონტით გამოსვლა, ჩვენივე პრობლემების აქტუალიზაციისთვის.

დღეს დასავლური სანქციებისა და პოლიტიკის ნაწილი საქართველოს დეოკუპაციის მოთხოვნა არ არის იმიტომ, რომ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, მათ შორის, ომის დაწყების შემდეგ, საქართველოს ხელისუფლება უკრაინის ბოიკოტით არის დაკავებული.

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები, გინდ მაღალი და გინდ დაბალი თანამდებობის წარმომადგენლები, უკრაინის ხელისუფლებაზე თავდასხმით არიან დაკავებულები, ახლა არ აქტიურობა საქართველოს დეოკუპაციასა და ტერიტორიულ მთლიანობაზე უარის თქმის ტოლფასია, – განაცხადა კანდელაკმა.

კახა კალაძე: „მხარს ვუჭერთ უკრაინელ ხალხსა და მათ სურვილს, იცხოვრონ მშვიდობიან ქვეყანაში“

– მხარს ვუჭერთ უკრაინელ ხალხსა და მათ სურვილს, იცხოვრონ მშვიდობიან ქვეყანაში.

ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ განაცხადა.

უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს დედაქალაქის მერი საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა რიგით მეშვიდე ეროვნულ ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას კიდევ ერთხელ გამოეხმაურა.

– მინდა, გამოვეხმაურო უკრაინაში არსებულ უმძიმეს მდგომარეობას. რასაკვირველია, ეს ყველას გვაშფოთებს და არ მეგულება ადამიანი, რომელიც მძიმედ არ რეაგირებდეს ყოველდღიურად გავრცელებულ კადრებზე, რომელიც უკრაინელი ხალხის ტრაგედიას ასახავს.

ძალიან მძიმეა ეს ყველაფერი და კიდევ ერთხელ მინდა, მშვიდობა ვუსურვო უკრაინელ ხალხს.

რამდენიმე დღის წინ, როგორც ასოციაციის პრეზიდენტმა, ჩემს მოლდოველ კოლეგასთან ერთად, წერილით მივმართე კიევის მერს, ვიტალი კლიჩკოს, სატელეფონო საუბარიც მქონდა მასთან. ასევე, სატელეფონო საუბარი მქონდა ხარკოვის მერთან, იგორ ტერეხოვთან. რასაკვირველია, ჩვენ მხარს ვუჭერთ უკრაინელ ხალხს და მათ სურვილს, რომ იცხოვრონ მშვიდობიან ქვეყანაში, სადაც არავინ დაუნგრევს სახლებს, ტყვიების წვიმაში არ მოხვდებიან მათი შვილები, სარდაფებში და ბომბსაცავებში არ მოუწევთ ღამეების გათენება.

ვუყურებ ქალაქების დაბომბვის, ნგრევის კადრებს და ვფიქრობ, რომ ყველაფერს ეშველება, ყველაფრის აღდგენა იქნება შესაძლებელი, მაგრამ შეუძლებელია წართმეული სიცოცხლის დაბრუნება.

სამწუხაროდ, ყოველდღიურად იზრდება რუსეთის აგრესიის მსხვერპლთა რიცხვი და ეს ყველაზე მტკივნეული და დამანგრეველია. მინდა, გულით ვუსურვო უკრაინელ ხალხს მშვიდობა და ქვეყნის აღდგენა, – განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, უკრაინისა და მისი მოქალაქეების დახმარების მიზნით, საქართველო ყველაფერს აკეთებს და მომავალშიც გააკეთებს.

– გავაგრძელებთ უკრაინის მოქალაქეების მხარდაჭერას. ვისაც შეგვიძლია, გვერდით დავუდგეთ. საქართველოს, როგორც ერთ-ერთი მეგობარი ქვეყნის თანადგომა, ძალიან მნიშვნელოვანია.

როგორც იცით, საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ საქართველოში ჩარჩენილ უკრაინელებს გამოუთქვა მხარდაჭერა. ისინი დღეს უზრუნველყოფილნი არიან საცხოვრისითა და საკვებით. ამაში ჩართულია დედაქალაქის მუნიციპალიტეტის მერია, ასევე, რიგითი, მოქალაქეები, რისთვისაც მინდა, ყველას მადლობა გადავუხადო, – განაცხადა კახა კალაძემ.

გიგი უგულავა აეროპორტის ინციდენტში სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო

პროკურატურა განაჩენს გაასაჩივრებს

ოპოზიციონერი ლიდერი, ბრალდებული გიგი უგულავა, თბილისის საქალაქო სასამართლომ აეროპორტში მომხდარ ინციდენტში უდანაშაულოდ ცნო.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილმა გუშინ, 9 მარტს, გამოაცხადა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, გიგი უგულავა ძიუდოისტ ბადრი გავაშელიშვილის მიმართ განხორციელებულ ძალადობაში იქნა უდანაშაულოდ ცნობილი.

კოჭლამაზაშვილის განმარტებით, ორივე მხარემ ყურადღება გაამახვილა კონფლიქტის დაწყების ეტაპზე, ეს გონივრულია, რადგან ძალადობის საკითხში კონფლიქტის დაწყებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რათა დადგინდეს, კონკრეტული პირი თავდასხმის პოზიციაში იყო თუ თავდაცვის. მოსამართლის თქმით, კონფლიქტის არსებობას ორივე მხარე ადასტურებს და ფიზიკური დაპირისპირებისას ურთიერთდარტყმებსაც ორივე მხარე ადასტურებს.

კოჭლამაზაშვილის განმარტებით, დამატებითი მტკიცებულებები სასამართლოში არ იქნა წარმოდგენილი, თუმცა, ბრალდების მხარემ საპატრულო პირების წარმოდგენა მოახდინა, რომლებიც დაწყებული კონფლიქტის დროს მივიდნენ და მათ კონფლიქტის დაწყებასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ აქვთ.

მისი თქმით, იმის გასარკვევად, თუ რომელი მხარის ვერსიაა სწორი, სასამართლოს დამატებითი მტკიცებულებები სჭირდება, რაც არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, მოსამართლემ გადაწყვეტილება უგულავას სასარგებლოდ გამოაცხადა.

– როგორც იტყვიან, ეშმაკი დეტალებშია. დღეს სასამართლომ გამამართლა, მაგრამ მაინც ეს არანაირი მართლმსაჯულების ზეიმი არ არის, მოსამართლემ თავიდან აიცილა ეს საქმე.

ასე შეაფასა გიგი უგულავამ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

გიგი უგულავას თქმით, აღნიშნულ საქმეში დამნაშავე და მოძალადე ბადრი გავაშელიშვილია, მაგრამ ამაზე მართლმსაჯულება დუმს, რაც არის მთავარი პრობლემა ამ ისტორიაში. მისივე თქმით, ბადრი გავაშელიშვილი აუცილებლად დაისჯება და ეს საქმე დამთავრდება მაშინ, როდესაც გავაშელიშვილი საჯაროდ იტყვის, ვინ დაავალა, ან რამდენი გადაუხადეს.

– ეს საქმე თავისი შინაარსით და თემატიკით აბსურდულია, უნდა ყოფილიყო მთელი ქვეყნისთვის აბუჩად ასაგდები. მოსამართლეს შეეძლო კამერების ჩანაწერები ამოეღო და ეს 2 წლიანი გაუთავებელი შოუ, ტაკიმასხარაობა სახელად „საქართველოს მართლმსაჯულება“ არ მოხდებოდა. მკაფიოდ იქნებოდა დადგენილი, რომ მოძალადე იყო გავაშელიშვილი.

დამნაშავე და მოძალადე გავაშელიშვილია, რომელიც იქ დავალებით მოვიდა, ამაზე მართლმსაჯულება დუმს, რაც არის მთავარი პრობლემა ამ ისტორიაში, არა ის, ჯარიმას მომისჯიდა თუ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას, ორი ადამიანი მოვიდა დავალებით იმისთვის, რომ ჩვენზე ფიზიკური ძალადობა განეხორციელებინა, დაიწყო ჩხუბი და პასუხიც მიიღო.

ნებისმიერი მოძალადე მიიღებს ადეკვატურ, პროპორციულ მაგრამ მკაცრ პასუხს, არავინ არ შეეგუება „ზონდერების“ მიგზავნას, დაჩაგვრას და საქმის მის წინააღმდეგ აღძვრას. ბადრი გავაშელიშვილი აუცილებლად დაისჯება და ეს საქმე დამთავრდება მაშინ, როდესაც გავაშელიშვილი საჯაროდ იტყვის, ვინ დაავალა და რამდენი გადაუხადეს ამ საქმეში, – აღნიშნა გიგი უგულავამ.

პროკურორ ნათია გურულის ინფორმაციით, ბრალდების მხარე გამამართლებელ განაჩენს გაასაჩივრებს.

როგორც მან სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი იყო დაზარალებულის, მისი თანმხლები პირისა და მესაზღვრე ინსპექტორების ჩვენებები, რომლებიც ძალადობის ფრაგმენტებს შეესწრნენ.

– ბრალდების მხარე არ ეთანხმება სასამართლოს გადაწყვეტილებას და მას აუცილებლად გაასაჩივრებს სააპელაციო წესით. სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან დაპირისპირებული მხარეები საწინააღმდეგო ინფორმაციას იძლეოდნენ, გადაწყვიტა ბრალდებულის სასარგებლოდ, თუმცა ბრალდების მხარეს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები იძლეოდა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას, შესაბამისად, გავასაჩივრებთ გადაწყვეტილებას სააპელაციო წესით.

ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი იყო დაზარალებულის, მისი თანმხლები პირის, მესაზღვრე ინსპექტორების ჩვენებები, რომლებიც ძალადობის ფრაგმენტებს შეესწრნენ და აღნიშნული მტკიცებულებები ვიდეოჩანაწერების თანხლებით, ადასტურებდა დანაშაულის ჩადენას, – აღნიშნა ნათია გურულმა.

ცნობისთვის, შემთხვევა თბილისის აეროპორტში 2019 წლის 11 დეკემბერს მოხდა. გიგი უგულავას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით აქვს წარდგენილი, რაც ძალადობას გულისხმობს. მას ძიუდოისტ ბადრი გავაშელიშვილის ცემას ედავებოდნენ. გიგი უგულავასთან ერთად ბრალდებული გახლდათ გავაშელიშვილის მეგობარი დავით პარკაძე, რომელსაც პოლიტიკოს გოკა გაბაშვილის ცემას ედავებოდნენ. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ის დამნაშავედ იქნა ცნობილი და ჯარიმა დაეკისრა.

ვახტანგ გომელაური: „ესებუას როდესაც დავიჭერთ, აუცილებლად მოგახსენებთ“

– ესებუას ვეძებთ, – ასე უპასუხა შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა ჟურნალისტების კითხვას, რა ეტაპზეა „საქართველოს ბანკზე“ თავდასხმაში ბრალდებული ბადრი ესებუას ძებნის პროცესი.

მისი თქმით, როდესაც ესებუას დაიჭერენ, ამის შესახებ ინფორმაციას გაავრცელებენ.

– ესებუას ვეძებთ და, როდესაც დავიჭერთ, აუცილებლად მოგახსენებთ, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

შეგახსენებთ, ზუგდიდში, „საქართველოს ბანკის“ ფილიალზე თავდასხმა ბადრი ესებუამ გასული წლის 25 ოქტომბერს განახორციელა. აღნიშნულ საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე, 323-ე და 329-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც ტერორისტულ აქტს, მძევლად ხელში ჩაგდებას ტერორისტული მიზნით და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

ვახტანგ გომელაური რუსების საქართველოში შემოსვლასაც შეეხო.

მისი თქმით, იყო ხშირი საუბარი, თითქოს უპრეცედენტოდ მოიმატა რუსეთის მოქალაქეების შემოსვლამ საქართველოში, ეს არ არის მართალი, რეალურად ბევრად ნაკლებია.

ვახტანგ გომელაურის ინფორმაციით, 24 თებერვლიდან დღემდე, 13 დღის განმავლობაში, საქართველოში რუსეთის 20.000-ზე მეტი მოქალაქე შემოვიდა, მაშინ, როდესაც 2019 წლის ანალოგიურ პერიოდში 40.000 იყო შემოსული. მისივე თქმით, ქართულ მხარეს საზღვარზე კონტროლი უფრო გამკაცრებული აქვს, შესაბამისად, 180-მდე უცხო ქვეყნის მოქალაქე არ შემოუშვეს.

„რუსების შემოსვლა არ მომატებულა“

– სახელმწიფო საზღვარი კონტროლდება ძალიან მაღალ დონეზე, უსაფრთხოების სამსახურთან ერთად გვაქვს მაქსიმალური აქცენტი გაკეთებული უსაფრთხოებაზე. იყო ხშირი საუბარი, თითქოს უპრეცედენტოდ მოიმატა რუსეთის მოქალაქეების შემოსვლამ საქართველოში, ეს არ არის მართალი, ბევრად ნაკლებია. 2019-2021 წლებთან შედარებით იმის 70%-ია შემოსული, რაც მაშინ შემოდიოდა. 24 თებერვლიდან დღემდე, 13 დღის განმავლობაში შემოსულია 20.000 ადამიანზე ოდნავ მეტი მაშინ, როდესაც 2019 წელს ანალოგიურ პერიოდში, 13 დღის განმავლობაში შემოსული იყო 40.000.

ამ ადამიანებიდან ბევრი შემოდის ჩრდილო-კავკასიის მოსახლეობა – ჩეჩნები, დაღესტნელები, ინგუშები და ა.შ., რომლებიც ჩარჩნენ და ვერ გადაფრინდნენ საკუთარ ქვეყნებში, თურქეთში ქირაობენ ავტობუსებს, ოჯახებით მოდიან და პირდაპირ გადიან ლარსის გამშვები პუნქტიდან. ესეც ითვლება რუსეთის მოქალაქეების შემოსვლად, თუმცა ტერიტორიას ტოვებენ, მათი ნახევარი ნამდვილად არ რჩება, დაახლოებით 3.000-

ია, რომელიც შემოვიდა და ჯერ არ გასულა.

ჩვენ კონტროლი უფრო გამკაცრებული გვაქვს. იყო ბევრი შემთხვევა, კონკრეტულ სახელებს და გვარებს ვერ გეტყვით, იყო საუბარი „დოუდის“ ჟურნალისტი არ შემოუშვესო. 180-მდე ადამიანი არ შემოვუშვით. ერთ-ერთი ალბათ ეს „დოუდის“ ჟურნალისტიც მოჰყვა, მესაზღვრე თავად წყვეტს, ვინ შემოუშვას და ვინ არა, ამას არ წყვეტს მინისტრი, მისი მოადგილე, კურატორი ან ა.შ. გაწერილი წესია, – აღნიშნა ვახტანგ გომელაურმა.

კარდენახში 35 წლის ვალერი სიბაშვილი მოკლეს

მას მანქანით გადაუარეს

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახში 35 წლამდე ასაკის კაცი მოკლეს.

შელაპარაკება 8 მარტს, გვიან ღამით მოხდა.

წინასწარი ინფორმაციით, მოკლულ ვალერი სიბაშვილს დაზიანებები გულ-მკერდის, თავისა და მუცლის არეში აქვს მიყენებული.

ადგილობრივებმა „მთავარ არხს“ აცნობეს, რომ კაცს გურჯაანში მცხოვრებმა პირებმა ავტომობილით გადაუარეს.

– ერთად ქეიფობდნენ, ახალგაზრდების ჯგუფი იყო. როგორც ვიცი, დიდი არაფერი მიზეზი ყოფილა, ნასვამები იყვნენ. იჩხუბეს, ერთმანეთს სცემეს. გარდაცვლილმაც სცემა ვიღაც, ასე ამბობენ. ახლა გაჩნდა ვერსია, თითქოს, სანამ მანქანას გადაატარებდნენ, მუცლის არეში დანით რამდენიმე ჭრილობა მიაყენეს და ასე სასტიკად მოკლეს, – ამბობს ერთ-ერთი ადგილობრივი „პრაიმტაიმთან““

დაშავებული გურჯაანის „ჯეოჰოსპიტალსის“ საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ექიმებმა ვერ შეძლეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

ფაქტზე დაკავებულია 1 პირი.

თბილისში, ნიკოლაძეზე, ტაქსიში ორმა პირმა ერთმანეთი დაჭრა

თბილისში, იაკობ ნიკოლაძის ქუჩაზე, 8 მარტს, გვიან ღამით მომხდარი დაპირისპირებისას 2 ადამიანი დაჭრეს.

თვითმხილველების ინფორმაციით, ერთ მათგანს ჭრილობა ცეცხლსასროლი იარაღით აქვს მიყენებული, მეორეს კი – ცივი იარაღით.

ადგილობრივების მტკიცებით, შემთხვევა ტაქსიში მსხდომ ადამიანებს შორის მოხდა. დაშავებულები სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟმა კლინიკაში გადაიყვანა.

მომხდარზე გამოძიება 19-109-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს, რომლებიც დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის მცდელობასა და ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა (თოფისა)), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარება– დამზადება-გადაზიდვა-გადაგზავნას ან გასაღებას გულისხმობს.

თევდორე მღვდელზე ხანძარი იყო

8 მარტს თბილისში, თევდორე მღვდლის ქუჩაზე მდებარე კორპუსში, ხანძარი იყო.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განუცხადეს, ხანძრის ლიკვიდაცია დროულად მოხერხდა და შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

გავრცელებული ინფორმაციით, შემთხვევის ადგილიდან მეხანძრე-მაშველებმა ხანდაზმული ქალი უვნებლად გამოიყვანეს.

ბათუმის ახალ ბულვარზე ტრაქტორი გადაბრუნდა

8 მარტს ბათუმის ახალი ბულვარის ტერიტორიაზე გზის ნაწილის ჩანგრევის გამო ტრაქტორი გადაბრუნდა.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

შპს „ბათუმის წყალში“ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადეს, რომ მძიმე ტექნიკა ზღვაში გამსვლელი არხების გაწმენდით სამუშაოებს ახორციელებდა.

– ზღვაში გამსვლელი არხების გაწმენდის დროს, რომელსაც „ბათუმის წყლის“ სპეციალური სამსახური უხვი ნალექის დროს მუდმივ რეჟიმში ახორციელებს, მძიმე ტექნიკა მოცურდა, რის შედეგადაც ტრაქტორი გადაბრუნდა, თუმცა არავინ დაშვებულა. ტრაქტორის ამოყვანის პროცესი განხორციელდა და შემდეგ არხების გაწმენდის პროცესი გაგრძელდება, – განაცხადეს შპს „ბათუმის წყალში“.

აშშ-ის დაზვერვა: „პუტინი კიევის აღებას 1-2 დღეში გეგმავდა“

– რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი უკრაინის დედაქალაქ კიევის აღებას ორ დღეში გეგმავდა.

ამის შესახებ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორმა უილიამ ბერნსმა განაცხადა. ინფორმაციას სხვადასხვა დასავლური მედიასაშუალება ავრცელებს.

– პირველი ორი დღის განმავლობაში, კიევის აღების ნაცვლად, თითქმის ორი კვირის შემდეგ, მათ ჯერ კიდევ ვერ შეძლეს ქალაქის მთლიანად ალყაში მოქცევა, – აღნიშნა ბერნსმა კონგრესის მოსმენაზე გამოსვლისას.

ცსს-ს ხელმძღვანელმა ამერიკელ კანონმდებლებთან საუბრისას ისიც თქვა, რომ პუტინი ახლა გაბრაზებული და იმედგაცრუებულია.

– ის, სავარაუდოდ, გააორმაგებს ძალისხმევას და შეეცდება გაანადგუროს უკრაინელი სამხედროები მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლის უგულებელყოფით, – დასძინა ბერნსმა.

აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორის თქმით, პუტინი ცდებოდა, როდესაც წლების განმავლობაში აცხადებდა, რომ არ სჯეროდა, რომ უკრაინა ნამდვილი ქვეყანაა.

– ის ცდება ამაში. რეალური ქვეყნები წინააღმდეგობას გასწევენ და ეს არის ის, რაც უკრაინელებმა საკმაოდ გმირულად გააკეთეს ბოლო 13 დღის განმავლობაში, – განაცხადა მან.

პოლონეთი მზადაა, უკრაინას მიგ-29 საბრძოლო თვითმფრინავები მიაწოდოს

პოლონეთი მზად არის, უკრაინას მიაწოდოს მიგ-29 ტიპის საბრძოლო თვითმფრინავები, მაგრამ მხოლოდ ნატო-ს ფარგლებში.

აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას საინფორმაციო სააგენტო როიტერსი პოლონეთის პრეზიდენტის მრჩეველზე დაყრდნობით ავრცელებს.

ეს განცხადება მას შემდეგ გაკეთდა, რაც აშშ-მ მიგ-29 ტიპის გამანადგურებლების გადაცემის შესახებ პოლონეთის წინადადებაზე უარი განაცხადა.

– აშშ-ს არ სურს, ეს თვითმფრინავები უკრაინაში ამერიკული ბაზებიდან ჩავიდეს. პოლონეთი მზადაა, იმოქმედოს, მაგრამ მხოლოდ ნატო-ს სამხედრო ალიანსის ფარგლებში, – განუცხადა ანეჟი დუდას მრჩეველმა იაკუბ კუმოჩმა მედიას.

შეგახსენებთ, პოლონეთმა 8 მარტს განაცხადა, რომ მზადაა, დაუყოვნებლივ და უფასოდ განათავსოს თავისი მიგ-29 ტიპის ყველა გამანადგურებელი თვითმფრინავი გერმანიაში მდებარე აშშ-ის საჰაერო ძალების, რამშტეინის ბაზაზე და ვაშინგტონს განკარგულებაში გადასცეს, თუმცა პენტაგონმა პოლონეთის ამ წინადადებაზე უარი განაცხადა.

სუმიში რუსეთის თავდასხმას 22 ადამიანი შეეწირა

სუმიში რუსეთის საჰაერო თავდასხმის შედეგად 22 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის 3 ბავშვი იყო.

სუმის რეგიონის გუბერნატორი დმიტრო ჟივიცკი აცხადებს, რომ რუსეთმა 8 მარტს ღამით საცხოვრებელი უბანი დაბომბა. ის მომხდარს „მასობრივ მკვლელობას“ უწოდებს.

მისი თქმით, 1 სახლში 9 ადამიანი დაიღუპა, ექვსი სახლი მთლიანად განადგურდა, 20-მდე კი ნაწილობრივ დაინგრა.

ბოლო მონაცემებით, სუმის დატოვება 5.000-მდე ადამიანმა შეძლო.

რამზან კადიროვი: „იაპონიის ხელმძღვანელობა ჩეჩნეთის მიწაზე ფეხს ვერ დადგამს“

ჩეჩნეთის მეთაური რამზან კადიროვი იაპონიის მთავრობის მიერ მის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს ეხმიანება და საპასუხო ზომებს აანონსებს.

– ზნეობისა და კეთილშობილური ქცევისა და „ბუშიდოს“ მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების მქონე ქვეყანა, რომელიც ყოველთვის განცალკევებით დგას მთელი მსოფლიოსგან, მოულოდნელად ევროპის ქვეშ მოექცა. მართლა მაინტერესებს, ასეთი ერთი შეხედვით ჭკვიანი ადამიანები უცებ როგორ შეცდნენ და გაყინეს ჩემი აქტივები, რომლებიც არასდროს მქონია იაპონიაში“, – წერს რამზან კადიროვი ინსტაგრამზე.

მისი თქმით, იაპონიის ხელისუფლების წარმომადგენლები ჩეჩნეთის მიწაზე „ფეხს ვეღარ დადგამენ“.

– ამიერიდან იაპონიის ხელმძღვანელობა ჩეჩნეთის მიწაზე ფეხს ვერ დადგამს, გარდა ორი ადგილისა – სოფლების, ბრაგუნისა და სამაშკის ფსიქიატრიული საავადმყოფოებისა. მე არ ვარ მონსტრი, რომ მათ აუცილებელი მკურნალობის საშუალება არ მივცე. მთელი მათი ქონება და საბანკო ანგარიშები დაკავებულია, გაიყიდება, თანხები კი კურილის კუნძულების განვითარების ფონდში გადაიგზავნება, – განაცხადა კადიროვმა.

მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ არც ერთი ქვეყნის მიერ დაწესებული სანქციები არ ანაღვლებს.

– ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერი სანქციისთვის მიმიფურთხებია. მე მხოლოდ ერთის მეშინია – ყოვლისშემძლე ალაჰის სანქციების ქვეშ მოქცევის, – წერს რამზან კადიროვი ინსტაგრამზე.

რუსეთის საგარეო სამინისტრო: „უკრაინის ხელისუფლების დამხობას არ ვგეგმავთ“

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ამტკიცებს, რომ უკრაინაში მისი მიზნები მოლაპარაკებების გზით უკეთესად მიიღწევა და ოფიციალური მოსკოვი არ გეგმავს უკრაინის ხელისუფლების დამხობას.

ამის შესახებ ინფორმაციას საინფორმაციო სააგენტო როიტერსი ავრცელებს.

რუსეთის საგარეო უწყების წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ განაცხადა, რომ მათი მიზანია, უკრაინას ჰქონდეს ნეიტრალური სტატუსი, რის მიღწევაც მოსკოვს მოლაპარაკებების გზით ურჩევნია და იმედოვნებს, რომ მომდევნო მოლაპარაკებების რაუნდში უფრო მნიშვნელოვანი პროგრესი იქნება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სამართალი

მთავრობის კანცელარიასთან შოთა დიღმელაშვილი დააკავეს

მთავრობის კანცელარიასთან სამოქალაქო აქტივისტი შოთა დიღმელაშვილი დააკავეს. ამის შესახებ ინფორმაციას მოძრაობა „სირცხვილია“ ფეისბუქში ავრცელებს.

როგორც დიღმელაშვილი დაკავებამდე გავრცელებულ ვიდეომიმართვაში აცხადებს, მას მთავრობის ადმინისტრაციის შენობის წინ ერთკაციანი აქცია ჰქონდა და შენობას კვერცხები ესროლა.

შოთა დიღმელაშვილმა განაცხადა, რომ პროტესტის აღნიშნული ფორმით 7 მარტს, უკრაინის მხარდამჭერ აქციაზე, სამოქალაქო აქტივისტების დაკავება გააპროტესტა.

რუსთავში მამაკაცი სწრაფი ჩარიცხვის აპარატიდან ფულის მოპარვას აპირებდა

რუსთავში მამაკაცი დააკავეს.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, კოსტავას გამზირზე 40 წლამდე მამაკაცმა საქართველოს ბანკის სწრაფი ჩარიცხვის აპარატიდან ფულის მოპარვა განიზრახა.

გარკვეული მიზეზების გამო მამაკაცმა აპარატიდან თანხის წაღება ვერ მოახერხა, თუმცა მოიპარა ქაღალდის კუპიურების ჩასარიცხი მოწყობილობა – მას ეგონა, რომ მოწყობილობაში გარკვეული თანხა იქნებოდა.

არსებული ინფორმაციით, მამაკაცი მალევე დააკავეს.

ნივთმტკიცებად ფეიბოქსის მოწყობილობა ამოიღეს.

მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 177-ე მუხლით დაიწყო, რაც ქურდობას გულისხმობს.

ლაგოდეხში ბმვ ხეს დაეჯახა

მძღოლი დაიღუპა

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ავარიას ერთი ადამიანი ემსხვერპლა.

შემთხვევა გუშინ, 9 მარტს, ლაგოდეხი-წნორის დამაკავშირებელ გზაზე მოხდა. თვითმხილველების თქმით, ბმვ-ს მარკის ავტომობილი მოცურდა და ხეს შეეჯახა, შედეგად სხეულის მძიმე დაზიანებები მიიღო მძღოლმა და ადგილზე გარდაიცვალა.

მომხდარზე გამოძიება ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის მუხლით მიმდინარეობს.

სპორტი

ბითაძეს ორმაგ დუბლამდე მოხსნა დააკლდა, მამუკელაშვილმა 8 ქულა დააგროვა

კარგა ხანია, ქართულ კალათბურთს ასეთი დღე არ გასთენებია – ნბა-ში 2-მა ჩვენებურმა ითამაშა და ორივეს კარგი მატჩი ჰქონდა.

დავიწყოთ გოგა ბითაძით, ვინაც ზედიზედ მეორედ შესანიშნავად ითამაშა. ქართველმა ცენტრს კლივლენდთან მატჩში ორმაგ დუბლამდე ერთი მოხსნა დააკლდა – 15 ქულა, 9 მოხსნა, 3 პასი, თითო ჩაჭრა და დაფარება მიითვალა. ეს ყველაფერი 18 წუთში და სათადარიგოთა სკამიდან. თუმცა, ქართველის კარგი გარჯა ინდიანას არ ეყო – 124:127.

გოგამ 6-დან 4 ორქულიანი, 4-დან 2 სამიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო. პასივში კი 1 დაკარგვა და 4 ჯარიმა ჰქონდა.

ინდიანას 22 მოგება და 45 მარცხი აქვს, რაც კონფერენციაში მე-13 შედეგია. მორიგი შეხვედრა ბითაძის გუნდს სტუმრად, სან ანტონიოსთან აქვს.

მამუკელაშვილი მილუოკიმ ჯეი ლიგიდან დაიბრუნა და ჩვენებურმა ოკლაჰომას (142:115) დამარცხებაში საკუთარი წვლილი შეიტანა. მამუკელაშვილმა 9 წუთში 8 ქულა და 4 მოხსნა დააგროვა. ამასთან, ჩვენებურს სროლა არ გაუცუდებია – 2-ვე სამქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო.

ბაქსი 41 მოგებითა და 25 წაგებით აღმოსავლეთ კონფერენციაში მესამე ადგილზე იმყოფება, შემდეგი შეხვედრა ატლანტა ჰოუქსთან ელის.

უეფას ევროპის გაზრდა სურს, ინგლისს — არა

2028 წლიდან უეფა ევროპის ჩემპიონატის 32-გუნდიანი ტურნირის ჩატარებას გეგმავს. ფორმატში ცვლილებების შეტანას ბრიტანეთი აანონსებს და წერს, რომ ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაცია ამ იდეას კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

მაჰეტა მოლანგო, ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის წევრი:

– ეს პროდუქტის ხარისხს დაზიანებს და ბავშვები თავიანთი კერპების საუკეთესო ვერსიებს ვერ ნახავენ. დიახ, მოკლევადიან პერსპექტივაში გაფართოებამ შესაძლოა, ფინანსური სარგებელი მოიტანოს, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში პროდუქტს დაზიანებს.

საპირისპიროდ, უეფა სპეციალური კვლევების ჩატარებას აპირებს, რათა დადგინდეს, ევროპულ ფეხბურთზე ცვლილებებს რა გავლენა ექნება.

ამასთან, ვრცელდება ინფორმაცია, რომ თავად ინიციატივას ძლიერი „ლობი“ ჰყავს და კორექტივების შეტანა აუცილებლად მოხდება.

საინტერესოდ ემთხვევა ის ფაქტიც, რომ 2028 წლის ევროპის ჩემპიონატი, უდიდესი ალბათობით, სწორედ გაერთიანებულ სამეფოსა და ირლანდიაში ჩატარდება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

საზოგადოება

ანიტა რაჭველიშვილმა კონცერტები გააუქმა

ოპერის მომღერალმა ანიტა რაჭველიშვილმა 11, 12 და 13 მარტს დაგეგმილი კონცერტები გააუქმა.

ინფორმაცია ამის შესახებ მეცო სოპრანომ ინტერნეტში თავად გაავრცელა:

– ძალიან რთული გადაწყვეტილების მიღება მომიხდა და გავაუქმე ჩემი კონცერტი ლა სკალაში, ასევე ვერდის რეკვიემი მაესტრო ბარენბოიმთან და ბერლინის ფილარმონიურ ორკესტრთან ერთად 11, 12 და 13 მარტს.

2-წლიანი პანდემიისა და ძალიან რთული ორსულობის შემდეგ ვიგრძენი, რომ რაც შეიძლება მალე უნდა დავბრუნდე, რათა შევძლო ჩემი ოჯახისა და ჩვენი პატარა ანგელოზის მხარდაჭერა, მაგრამ ჩემი სხეული ჯერ ამისთვის მზად არ აღმოჩნდა.

30 ნოემბერს ვიმშობიარე და 1 იანვარს დავიწყე სპექტაკლებისთვის მზადება ჩემს მასწავლებელთან, მაესტრო დევიდ ჰოლსტთან ერთად.

ჩვენ ბევრს ვმუშაობდით ჩემს მასწავლებელთან და ჩემს ქმართან ერთად, რომლებიც მხარს მიჭერდნენ ყოველთვის და ყველაფერში, მაგრამ სხეული, უბრალოდ, ჯერ მზად არ არის და მჭირდება მეცადინეობის პერიოდი, რომ არ მქონდეს შესრულების წინ სტრესი!

იმედი მაქვს, შევძლებ, დავბრუნდე ადრიანა ლეკოუვრურის ბოლო 2 სპექტაკლისთვის ლა სკალაში 16 და 19 მარტს.

თუ არა, იმედი მაქვს, გნახავთ ჟენევაში 10 აპრილს მაესტრო ვინჩენცო სკალერასთან და შემდეგ ჩემი დებიუტისთვის გერმანიაში 9 მაისს.

დიდი მადლობა გაგებისთვის! მიყვარხართ ყველა! ყოველთვის თქვენი ანიტა.

პ.ს. თურმე რობოტი არ ვარ.

გოგა ჩანადირი: „რუსეთისგან გათავისუფლება ენით უნდა დავიწყოთ“

აცხადებს ფოტოხელოვანი გოგა ჩანადირი:

– რუსეთისგან გათავისუფლება ენით უნდა დავიწყოთ.

დავაკვირდეთ ჩვენს ქართულს და ვნახავთ, როგორ გვაქვს დაბინძურებული: პროსტა, კაროჩე, ნასკი, ვაბშე, კანატკა, ლიჟები, კუპალნიკი, გლუშიტელი, პრობკა, ტუფლი, პადიომი, ბასეინი, კურტკა, პახოდუ, დაუე, ბაგაჟნიკი, სალფეტკი, კრიშა, ნეველიმკა, სპიჩკა, შკაფი, პერევალი, საროჩკა, პრავა, რაზნიცა, ჩოლკა, ბანტი, ტუპიკი და ასე შემდეგ.

ჯერ საკუთარი ენა გავათავისუფლოთ ბარბარიზმების ტყვეობისგან, ქართული ცნობიერება გავაძლიეროთ და მერე უკეთესად გამოგვივა სამშობლოს თავისუფლებისთვის ბრძოლა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ბათუმის დინამომ ქულები დაკარგა, ტორპედოს მწვრთნელს ფანები ემუქრებიან

დილა-დინამო (ბთ) 2:1

გორი. თენგიზ ბურჯანაძე

0:1 თ. გაფრინდაშვილი (53), 1:1 გომისი (67), 2:1 მაქაცარია (83)

დილა: ბულისკერია, ჩიტეიშვილი (გ.გაფრინდაშვილი 83), ნონდი, ჭიჭინაძე, სილვა, სანტოსი, გაგნიძე, მოსიაშვილი (ტავარეში 45), ღუდუშაური, თ.კაპანაძე (მაქაცარია 25), გომისი

დინამო: კუპატაძე, აზაროვი, აზაკცი, კობახიძე, მამუჩაშვილი, ალთუნაშვილი (ანანიძე 87), ფალავანდიშვილი, ფლამარიონი (ლობჯანიძე 87), ბიძინაშვილი (დენკოვიჩი 71), ჯიღაური (თ. გაფრინდაშვილი 46), ფანცულაია (ზარია 46)

გაძევება: დენკოვიჩი (90)

ზედიზედ მოგებული 2 მატჩის შემდეგ ბათუმის დინამომ პირველი ქულები დაკარგა. მოქმედი ჩემპიონებისთვის გორში გამართული მატჩი, ბოლო წლების მსგავსად რთული გამოდგა. აღსანიშნავია, რომ ზღვისპირელებს გორში ბოლოს 2017 წელს აქვს მოგებული.

არადა, თამაში სტუმრებმა კარგად დაიწყეს. ბათუმელები პირველ ტაიმში გარკვეულ უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ გოლამდე საქმე არ მისულა.

დინამომ გასაკეთებელი შესვენების შემდეგ გააკეთა – 53-ე წუთზე გია გეგუჩაძის გუნდი თორნიკე გაფრინდაშვილმა დააწინაურა. თუმცა, გაშვებულ გოლს გორელთა გააქტიურება მოჰყვა, რაც 67-ე წუთზე ჰონორე გომისის მიერ გატანილ გოლში გამოიხატა და მასპინძლებმა ანგარიში გაათანაბრეს. 83-ე წუთზე კი ცვლილებაზე შესულმა თამაზ მაქაცარიამ აიღო ლაზარე კუპატაძის კარი.

მატჩის დარჩენილ დროში ბათუმელთა მცდელობას ანგარიში შეეცვალათ, შედეგი არ მოჰყოლია.

ამჯერად გორთან დაპირისპირებაში ბათუმის დინამომ სამი ქულა დაკარგა, დილამ კი სეზონში მეორე გამარჯვება იზეიმა.

საბურთალო-ტორპედო 2:0

თბილისი. მიხეილ მესხი

1:0 ი.ტაბატაძე (37), 2:0 სიხარულიძე (41)

საბურთალო: გოშაძე, იაშვილი, კაკუბავა, ჯგერენაია, ლაცაბიძე, შ.ნონიკაშვილი (მიოჩი 90), ქარდავა, ი.ტაბატაძე (გოჩოლეიშვილი 66), ლ.ნონიკაშვილი (ქავთარაძე 85), გულიაშვილი, სიხარულიძე (შინდაგორიძე 85)

ტორპედო: კვასხვაძე, ქიმაძე, ნადარაია, სანდოხაძე, ვ.ტაბატაძე (აბულაძე 68), გ.კუხიანიძე, მანჯგალაძე (ჩარგეიშვილი 75), ბუღრიძე (ცინცაძე 59), პაპუნაშვილი, შუღაია (გოგლიჩიძე 75), მჭედლიძე (თ.ახვლედიანი 46)

საბურთალომ მორიგი 3 ქულა მე-3 ტურში მოიპოვა. ღევან კორღალიძის მიერ გაწვრთნილმა გუნდმა საკუთარ მოედანზე ქუთაისის ტორპედო 2-ბურთიანი სხვაობით დაამარცხა. დედაქალაქელები იური ტაბატაძემ 37-ე წუთზე დააწინაურა, რომელსაც საგოლე პასი ირაკლი სიხარულიძემ გაუკეთა. რამდენიმე წუთში ისევ ამ ფეხბურთელებმა იაქტიურეს – ტაბატაძემ კარში დაარტყა, როინ კვასხვაძემ ცუდად მოიგერია და სიხარულიძემ საგოლედ დაამატა.

ახლახან დაწყებულ ეროვნულ ლიგაში ქუთაისის ტორპედომ 3 მატჩიდან 2 წააგო. ქუთაისელ გულშემატკივრებს არც თამაშის ხარისხი მოსწონთ და რიონისპირული გუნდის ფანკლუბი მთავარ მწვრთნელს, გია ცეცაძეს წასვლის მოუწოდებს.

აი, რას წერენ გულშემატკივრები სოციალურ სივრცეში:

– ეროვნული ლიგის მიმდინარე სეზონში ჩატარებულ 3 შეხვედრაში ტორპედომ ჯამში კატასტროფული შედეგები აჩვენა!!! სადაც ყოველგვარი პასუხისმგებლობა ეკისრება მთავარ მწვრთნელს!!!

ეს ადამიანი არ არის ქუთაისის ტორპედოს დონის და რაც შეიძლება მალე უნდა დატოვოს გუნდი!!!

ცეცა, წადი!!! თორე ძალით გაგიშვებთ!!!

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო (ბთ)	3	2	0	1	8-2	6
2.თელავი	2	2	0	0	3-0	6
3.საბურთალო	3	2	0	1	4-2	6
4.დილა	3	2	0	1	4-3	6
5.სამგურალი	2	1	0	1	4-3	3
6.დინამო (თბ)	2	1	0	1	4-3	3
7.გაგრა	2	1	0	1	2-2	3
8.ტორპედო	3	1	0	2	1-6	3
9.ლოკომოტივი	2	0	0	2	1-4	0
10.სიონი	2	0	0	2	0-6	0

ინტერი მოგებით წაგებული დარჩა, ბაიერნმა ზალცბურგი გაანადგურა

ლივერპული-ინტერი 0:1

ლივერპული. ენფილდ როუდი

0:1 მარტინესი (62)

ლივერპული: ალისონი; ალექსანდერ-არნოლდი, მატიპი, ვან დეიკი, რობერტსონი; ჯონსი (ჰენდერსონი 83), ფაბინიო, ალკანტარა (კეიტა 65); სალაჰი, ჟოტა (დიასი 83), მანე

ინტერი: ჰანდანოვიჩი; შკრინიარი, დე ვრაი, ბასტონი; დუმფრისი (დარმიანი 75), ვიდალი, ბროზოვიჩი (გალიარდინი 75), ჩალჰანოღლუ (ვესინო 84), პერიშიჩი; ლაუტარო მარტინესი (კორეა 75), სანჩესი

გაძევება: სანჩესი (63)

ინტერის ბოლოდროინდელ ისტორიაში, ალბათ, ყველაზე დასანანი მარცხი. მილანურმა კლუბმა ლივერპულში მოიგო, მაგრამ წაგებული გამოვიდა. ლივერპულს სტუმრად 2:0 ჰქონდა მოგებული და სიმონე ინძაგის გუნდს „ენფილდზე“ 1 გოლი არ ეყო.

მართალია, ლივერპული უპირატესობას ფლობდა, საგოლე მომენტებიც მრავლად შექმნა, გოლთანაც ბევრჯერ იყვნენ ახლოს, მაგრამ ჰანდანოვიჩის კარში ბურთის გატანა ვერ მოახერხა.

განსაკუთრებით „მხიარული“ გახდა თამაში მე-2 ტაიმში, რადგან ინტერს უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა და ბოლომდე გაიხსნა. მილანელები თამაშში მას შემდეგ დარჩნენ, რაც ლაუტარო მარტინესმა გაიტანა. თუმცა, არგენტინელის გოლიდან ერთ წუთში მოედნიდან ალექსის სანჩესი გააძევეს და ინტერს საქმე გაურთულდა.

კაცნაკლული ინტერი ცდილობდა მატჩის შემობრუნებას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა...

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ტრენტ ალექსანდრ-არნოლდი

ლივერპულელთა მარჯვენა მცველმა კარგი თამაში ჩაატარა. მერსისაიდელთა შეტევები ძირითადად მისი მხრიდან იწყებოდა, ბურთთან ყველაზე ხშირად ჩნდებოდა, არც დაცვითი ფუნქციების შესრულება უჭირდა.

იურგენ კლოპი:

– წაგება არ მიყვარს, მაგრამ, თუ წაგება უნდა ავირჩიო, ასეთს ავირჩევდი, რადგან მომდევნო ეტაპზე გავედით. წილისყრის შემდეგ ვიცოდით, რომ რთული იქნებოდა. 2 მატჩის ჯამში მომდევნო ეტაპზე გასვლა დავიმსახურეთ. ამ შეხვედრაში პრობლემები გვქონდა, მაგრამ ინტერი შესანიშნავი გუნდია და ინძაგის ვულოცავ. ცოტათი ბიელსას ლიდსს ჰგავს, მაგრამ უფრო მაღალხარისხიანი გუნდია. არ მომეწონა ჩემი გუნდის პრესინგი, ზოგჯერ ბურთს უცნაურად ვკარგავდით, ეს არ მსურდა, მაგრამ მეტოქეებსაც პატივი უნდა ვცეთ.

სიმონე ინძაგი:

– ძალიან დიდი სინანულია. მერვედფინალში ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან თანაბრად ვითამაშეთ. ძალიან ძვირად დაგვიჯდა „სან სიროზე“ გამართული მატჩის ბოლო 15 წუთი. პირველ თამაშში 75 წუთის განმავლობაში მეტს ვიმსახურებდით, შემდეგ გოლი გავუშვით და ყველაფერი შეიცვალა. სანჩესი? არ ვნანობ, რომ არ შევცვალე. ის მოედანზე მჭირდებოდა და

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება

ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ბაიერნი-ზალცბურგი 7:1

მიუნხენი. ალიანც არენა

1:0, 2:0, 3:0 ლევანდოვსკი (12პ, 21პ, 23), 4:0 გნაბრი (31), 5:0 მიულერი (54), 5:1 კიერგორი (70), 6:1 მიულერი (83), 7:1 სანე (86)

ბაიერნი: ნოიერი; პავარი, ზულე (ნიანზუ 66), ერნანდესი (უპამეკანო 60); გნაბრი (სარი 46), კიმიხი, მუსიალა (როკა 66), კომანი (ჩუპო-მოტინგი 66); მიულერი, სანე; ლევანდოვსკი

ზალცბურგი: კონი; კრისტენსენი, სოლეტი (პიატკოვსკი 46), ვიობერი, ულმერი; კაპალდო, კამარა (ტიანი 68), სეივალდი (შუშიჩი 46); აარონსონი; ადამუ (კიერგორი 61), ადეიემი (შეშკო 62)

მიუნხენის ბაიერნმა ზალცბურგი ღრუბლებიდან მიწაზე დააბრუნა. ბავარიელებმა მეტოქე ძალიან დაამცირეს. ყველაფერი უკვე 23-ე წუთზე იყო გადაწყვეტილი. ამ მოკლე დროში რობერტ ლევანდოვსკის 3 გოლი ჰქონდა გატანილი. მართალია, აქედან 2 პენალტი იყო, მაგრამ ისინიც პოლონელის მოპოვებული.

ბავარიელები ამის მერეც არ გაჩერებულან, რადგან დუბლი ტომას მიულერმა მიითვალა, თითოჯერ სერჟ გნაბრიმ და ლეროი სანემ გაიტანეს, ხოლო ავსტრიელთა ერთადერთმა გოლმა ცხადია, ვერაფერი შეცვალა.

ამრიგად, ბაიერნი ტიტულისთვის ბრძოლას აგრძელებს და მეოთხედფინალში ითამაშებს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – რობერტ ლევანდოვსკი

პოლონელი ფეხბურთელი ბაიერნის ბოლო მატჩებში დიდად არ გამოირჩეოდა და ყველაფერი ზალცბურგთან აინაზღაურა. ჰეთ თრიკი, ორი მოპოვებული ოენალტი, საგოლე პასი – მოკლედ, ლევანდოვსკი შეუჩერებელი იყო და დამსახურებულად მივიჩნიეთ საუკეთესოდ.

იულიან ნაგელსმანი:

– ეს იყო თამაში, რომელიც აუცილებლად უნდა მოგვეგო და ეს გავაკეთეთ შესანიშნავი თამაშის ხარისხით, კარგი ბურთის ფლობით და ეფექტური დაცვით. შეტევის სქემა? წინა წლებისგან დიდად არ განსხვავდება, ვცდილობთ, ფეხბურთელები საუკეთესო ფორმასა და კონდიციებში შევიყვანოთ. ბაიერნის მიზანი? ბუნებრივია, ყოველთვის გამარჯვება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ფარული შესაძლებლობა, უნარი; 2. ბურთიანი ჰოკეის ინგლისური სახელწოდება; 3. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სასტუმროების ქსელის მფლობელი კომპანია; 4. სარეცხი მანქანის გამომგონებელი ამერიკელი მექანიკოსი; 7. მეტალურგიაში ნივთიერება, რომელსაც უმატებენ მადანს დნობის დასაჩქარებლად; 9. შაქრიანი ცხელი წყლით შეზავებული რომი ან ვისკი; 12. მათემატიკის ნაწილი; 14. შტატი აშშ-ში; 15. ჟანგბადის ნაკლებობა ორგანიზმში; 17. ეკლიანი ღეროს მქონე ტროპიკული მცენარე; 20. კურორტი ლენტეხის რაიონში.

თარაზულად: 5. ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 6. კუთხე საქართველოში; 8. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ფირმა საქართველოში; 10. კათოლიკური ეკლესია პოლონეთში; 11. კომბინაცია პრეფერანსში; 13. ამერიკული ფარმაცევტული ფირმა; 16. დეტექტიური ჟანრის ფრანგი მწერალი; 18. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 19. პროფესიონალი ცხენოსანი; 21. სახელმწიფო აფრიკის ჩრდილოეთში; 22. იაპონური ფინანსური სამრეწველო კონცერნი; 23. მანძილის საზომი ერთეული ასტრონომიაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პროცესი; 2. კანადა; 3. ახტაჯანა; 4. მიცუბიში; 7. ვაშლოვანი; 8. მჭედლიძე; 12. ზარზუელა; 14. პარაგვაი; 16. ალგებრა; 17. ბერბიჭა; 19. ბაშო; 20. რომა.

თარაზულად: 5. პრეტორია; 6. ჩიხთიკოპი; 9. ბეკინა; 10. დურუჯი; 11. ჭენჭი; 13. გაუდა; 15. ხარება; 18. ულისე; 21. ხვანჭკარა; 22. ბეროუზი; 23. სორბონა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბარითმია; 2. სინჯი; 3. მურყვამი; 4. ჯიქები; 7. ბემბი; 9. კიქსი; 12. სტრასბურგი; 14. ანდორა; 15. თუშმალი; 17. ფარგალი; 20. გაუდა.

თარაზულად: 5. ბაჰრეინი; 6. პრუდონი; 8. ჰაჯიბეი; 10. საბოტაჟი; 11. კიუსიუ; 13. სტილეტი; 16. ჰიდრანტი; 18. ხავსი; 19. ფშავი; 21. ყაურმა; 22. ალვერდი; 23. ენოლოგი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

10 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.4019

ევრო — 3.7360

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.4806

100 რუსული რუბლი — 2.4396

ამინდის პროგნოზი 10 მარტისათვის

ჰოლანდს ბარსელონაში თამაში სურს

გერმანულ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ერლინგ ჰოლანდი, შესაძლოა, ბარსელონაში უკვე ზაფხულში გადავიდეს, რადგან მას სწორედ კატალონიურ გუნდში სურს კარიერის გაგრძელება.

ჰოლანდმა რამდენიმეჯერ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ თუ ის ბორუსიას დატოვებს, მისი მომავალი გუნდი ან რეალი, ან ბარსელონა იქნება და ჯერჯერობით მას გადაწყვეტილება არ მიუღია.

ხავი: „გალათასარაი ძლიერი მეტოქეა“

ბარსელონის მთავარმა მწვრთნელმა ხავი ერნანდესმა გალათასარაიზე ისაუბრა და თქვა, რომ თურქული გუნდი საკმაოდ ძლიერია და ბარსელონას იოლი გასეირნება არ ელოდება.

ხავის აზრით, პირველი შეხვედრა მნიშვნელოვანი იქნება:

– მინდა, ჩემმა ფეხბურთელებმა კარგად გაიგონ, თუ რა დიდი გამოწვევის წინაშე ვდგავართ და გვინდა, რომ ევროპის ლიგა მოვიგოთ. სხვა ვარიანტი არ არსებობს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ლევან სონღულაშვილი: „შოვინიზმსა და რასიზმს კატეგორიულად ვგმობ!“

მხატვარი ლევან სონღულაშვილი აცხადებს, რომ შოვინიზმსა და რასიზმს კატეგორიულად გმობს:

– შოვინიზმსა და რასიზმს კატეგორიულად ვგმობ! რუსების ნაწილი ემიჯნება პუტინიზმს, ვინც რუსეთის რეჟიმისგან თავის დაღწევას ცდილობს და თავშესაფარს საქართველოში ეძებს. მათდამი ჩემი გულშემატკივრობის მიუხედავად, ვფიქრობ, ახლა დიდი რისკის შემცველია რუსეთის მოქალაქეების საქართველოში მიღება, რადგან მათთან შესაძლო სამოქალაქო პროტესტს, აგრესიას, შეიძლება საფუძვლად დაედოს პუტინის მორიგი სამხედრო იერიში საქართველოზე; ასევე, გასათვალისწინებელია რუსი მოქალაქეების ბედი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე, როცა საქართველოში ფინანსები ამოწურებათ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

10 მარტისათვის

ვერძი – საქმიანი აქტივობისათვის შეუფერებელი დღეა. მოშურნეები ყველანაირად ხელს შეგიშლიან. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. ** კურო** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **ტყუპები** – იღბალი თქვენ მხარესაა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, იდეალურად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **კირჩხიბი** – მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **ლომი** – ფინანსური ოპერაციებისას სიფრთხილე და თავშეკავება გამოიჩინეთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **ქალწული** – კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, შემოქმედი ადამიანებისათვის. საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ. **სასწორი** – სიყვარულში ბედი გწყალობთ. დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და დატკბით თითოეული წამით. **ღრიანკალი** – ახლობლებს თქვენი დახმარება სჭირდებათ. დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **მშვილდოსანი** – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **თხის რქა** – ძალზე შესაფერისი დღეა მშვიდი დასვენებისათვის. შეგიძლიათ მოაწესრიგოთ საოჯახო საქმეები, იფიქროთ. **მერწყული** – თავს ნუ გადაიღლით. ყველაფერი თავისთავად მოგვარდება. გელით რომანტიკული თავგადასავალი. **თევზები** – კეთილისმყოფელი დღეა. სასიყვარულო ავანტიურაში ნუ ჩაებმებით. დაკმაყოფილდით იმით, რაც გაქვთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ქმარი ცოლს ეუბნება:

– იცი, ძვირფასო, ბიჭებმა ვიქეიფეთ, დავლიეთ და... მოკლედ, გიღალატე!

– ძვირფასო, მეც წვეულებაზე დავლიე და მეც გიღალატე!

– პირველი აპრილია!

– არა, მე მარტში...

●●●

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– ბავშვის დაბადების დღე როგორ აღნიშნეთ?

– როგორ და, გვთხოვა, რომ მისთვის დაბადების დღე კონკიას სტილში აღგვენიშნა. ჩვენც ასევე მოვიქეცით. თავად საქეიფოდ წავედით, გოგონა კი სახლის დასალაგებლად დავტოვეთ.

●●●

ექიმი მამაკაცს ეუბნება:

– თქვენმა ანალიზებმა აჩვენა, რომ ნაღვლის ბუშტში კენჭები, შარდში ქვიშა, ხოლო ფილტვებში კირი გაქვთ.

– შესანიშნავია, ექიმო. როგორც იქნა, სახლში „რემონტს გავაკეთებ, „შპალერის ყიდვაღა დამჭირდება.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რა ქენი, სთხოვე ხელი შენ შეყვარებულს?

– ვთხოვე.

– მერე?

– ხელი რომ ვთხოვე, სკამიდან ჩამოვარდა, შემდეგ საწოლზე ხტუნაობდა, დაახლოებით თხუთმეტი წუთი სიხარულისგან წინ და უკან დარბოდა, შემდეგ კი მიპასუხა, რომ დაფიქრდება...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სანდრო გეგეჭკორი მადრიდის კონცერტს უკრაინაში დაღუპულებს მიუძღვნის

პიანისტი სანდრო გეგეჭკორი 11 მარტს მადრიდში გამართულ კონცერტს უკრაინაში გმირულად დაღუპულ ადამიანებს მიუძღვნის:

– მადრიდში 11 მარტს სოლოკონცერტი მაქვს პოზობლანკოში. ეს ძალიან მცირედია, რაც შემიძლია, თუმცა, ყველამ რომ რაღაც მცირედი გავაკეთოთ, ერთ უზარმაზარ იდეას შევქმნით, იდეებს კი სამყაროს შეცვლა შეუძლია!

კონცერტი მიეძღვნება უკრაინაში გმირულად დაღუპული ადამიანების ხსოვნას!

დიდება უკრაინას! დიდება გმირებს!

ნუცა შანშიაშვილი: „ეს ბრძოლა არ არის მხოლოდ უკრაინის ბრძოლა“

ამერიკაში მოღვაწე ქართველი მომღერალი ნუცა შანშიაშვილი დარწმუნებულია, რომ რუსეთისა და უკრაინის ბრძოლა არ არის მხოლოდ უკრაინის ბრძოლა. ეს სინათლის ბრძოლაა:

– გაოცდა მთელი სამყარო უკრაინის სიმტკიცით, ვაჟკაცობით, ერთიანი ძალით! უკრაინის სამაგალითო, ძლიერი პრეზიდენტით, რომელიც იბრძვის თავგანწირული.

ეს ბრძოლა არ არის მხოლოდ უკრაინის ბრძოლა. დღეს ისინი იბრძვიან ქართველების თავისუფლებისათვის, რუსი ხალხის თავისუფლებისათვის და საერთოდ სამყაროსა და თითოეული ადამიანის თავისუფალი არჩევანისათვის!

ეს არის სინათლის არმია! სანამ შერცხვენილი არ დარჩა მთელი მსოფლიო, ყველა ძალა უნდა მოიხმაროს იმისათვის, რომ ეს სისხლისმღვრელი ომი გააჩეროს!

ნინო სურგულაძემ უკრაინული იავნანა იმღერა

ოპერის მომღერალმა ნინო სურგულაძემ უკრაინული იავნანა იმღერა და ის თითოეულ იმ ადამიანს მიუძღვნა, რომლებიც უკრაინაში იბრძვიან.

მეცოსოპრანოს ნამღერი მიეძღვნა იმ პატარებსაც, რომლებიც საომარი მოქმედებების გამო ახლა სარდაფებსა და თავშესაფრებში არიან გამოკეტილნი და გარეთ ლაღად თამაშისა და მშობლებთან ჩახუტების საშუალება არ ეძლევათ.

ნინო სურგულაძემ ვიდეო სოციალურ ქსელში გაავრცელა და ათასობით ადამიანის მოწონება და დადებითი კომენტარი დაიმსახურა.

ხატია ბუნიათიშვილმა უკრაინის ჰიმნი დაუკრა

მსოფლიოში აღიარებულმა ქართველმა პიანისტმა ხატია ბუნიათიშვილმა უკრაინისა და უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად მათი სახელმწიფო ჰიმნი შეასრულა.

ჰიმნი ხატიამ საფრანგეთის ორკესტრთან ერთად დაუკრა. ჰიმნის შესრულების შემდეგ ორკესტრის მუსიკოსებმა, დირიჟორმა და ხატიამ ომში დაღუპულ უკრაინელ გმირებს წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს.

ხატია ბუნიათიშვილი ათასობით მსმენელს ცნობილმა ტელეწამყვანმა ანე სინკლერმა წარუდგინა.

დინა მირცხულავა: „ყველაფერი არც ითქმება და არც იწერება“



მწერალი დინა მირცხულავა ომის კატეგორიული წინააღმდეგია და ყველა დედა ეცოდება, ვისაც შვილი უკვდება:

– თუ ომი არ მინდა, თუ ყველა დედა მეცოდება, აქეთაც და იქითაც, ვისაც შვილი უკვდება.

იმიტომ, რომ თვითონ ვარ შვილმკვდარი დედის შვილი და ნაცნობი წვაა ჩემთვის.

„იქით“ კი განსაკუთრებით ისინი მეცოდებიან, იარაღი ძალით რომ ააღებინეს ხელში და ეს სისხლისღვრა აიძულეს.

ზელენსკიზე მეტად თუ ის პატარა ბიჭია ჩემთვის გმირი, აფხაზეთის ერთ-ერთ სოფელში რომ ტანკს შეუვარდა ნაღმით ხელში, რომელიც სოფლის სტადიონზე თუ სკოლის ეზოში პატარა გოგონებს დასდევდა გასაჟუჟად.

თუ ვფიქრობ, რომ დიახ, ქვეყნის მეთაურს უნდა უყვარდეს თავისი ქვეყანა.

დიახ, უნდა იბრძოდეს თავისი ქვეყნის თავისუფლებისთვის.

დიახ, უნდა იყოს მაგალითი თავისი ხალხისთვის და ამაში განსაკუთრებული არაფერია.

თუ იმის მომხრე ვარ, რომ ძლიერნი ამა სოფლისანი დასხდნენ და მოილაპარაკონ.

თუ მინდა, რომ 21-ე საუკუნეში არ იბომბებოდეს არც უკრაინა, არც ლიბია, არც ავღანეთი და არც საქართველო – რუსეთუმე ვარ?!

უკვე ვეღარ ვუძლებ ამდენ მხარეს – მიშისტები, ბიძინისტები, კომუნისტები, პუტინისტები, ზელენსკისტები.

შედით ჩემს ბლოგზე და ნახეთ აფხაზეთის ომზე კომენტარები. მე ვითხოვე, რომ ყველას დაეწერა საკუთარი ისტორია.

დღეს აღვშფოთდით ხომ რუსეთის ფაშიზმზე?!

და დღეს ისინი, ვინც გულზე მჯიღს იცემთ (ღმერთმა დაგვიფაროს, ყველა არა!), აფხაზეთიდან გამოსულებს ჩამოთრეულებს ეძახდით, ბავშვებს არ ათამაშებდით ლტოლვილების შვილებთან.

ახლა რომ მეგმირებით აქ. საკუთარ სისხლსა და ხორცს დღემდე იმას აძახებთ – რას გამორბოდით, ბოლომდე რატომ არ მოკვდითო იქ.

ადამიანები, რომლებიც წელიწადზე მეტს იბრძოდნენ უიარაღოდ ან, უკეთეს შემთხვევაში, ჟანგშეჭმული იარაღებით.

ყველაფერი არც ითქმება და არც იწერება.

დიდება ღმერთს (მარტო ღმერთს უხდება დიდება და იმიტომ!) და გამარჯვება უკრაინას!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. ქიმიური ინდიკატორი; 2. მოდუღებული ყურძნის წვენი; 3. უბანი თბილისში; 4. თამბაქოში არსებული ალკალოიდი; 7. ჩაის დეგუსტატორი; 8. ბროწეულის წვენისგან მომზადებული საწებელი; 12. ჩრდილოეთ ირლანდიის დედაქალაქი; 14. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 16. მოქმედების უნარი, ძალა, ღონე; 17. ჯეიმს კემერონის მხატვრული ფილმი; 19. უალკოჰოლო მატონიზირებელი სასმელი; 20. ქართული ფოლკლორული ანსამბლი.

თარაზულად: 5. ისტორიული სატუსაღო პარიზში; 6. ავადმყოფური კბილების კრაჭუნი ძილში; 9. საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები; 10. სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 11. ავი, ანჩხლი დედაკაცი; 13. ნავსადგური ყირიმში; 15. ჟორჟ ბიზეს ოპერა; 18. ხრახნული კონვეიერი; 21. ეკლესიის მნათეს ძველებური სახელწოდება; 22. ვირტუოზი ბრაზილიელი ფეხბურთელი; 23. ლოგარითმის წილადური ნაწილი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა